

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს


სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

05-06.05.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
4. ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
5. რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
6. კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
7. ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
8. დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
9. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
10. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;



გ. სიმონია

11. მარინე ჟვანია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
12. ლალი შაიშმელაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
13. ქეთევან ფანჯულიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
14. სალომე ფრუიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
15. თამარ შუდრა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
16. ბექა ძამაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
17. ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
18. ზაურ ამილახვარი - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის რექტორი;
19. ბესიკ შუშაკიძე - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
20. ლაზარე ძნელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის დირექტორი;
21. ნუგზარ ზოსიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
22. შორენა ვერძაძე - შპს - „ათინათი-2010“ - ის დირექტორი;
23. მირანდა თურმანიძე - შპს - „ათინათი-2010“ - ის თანამშრომელი (ფსიქოლოგი);
24. სოფიო მაჭარაშვილი - შპს - „ორიენტირის“ წარმომადგენელი;
25. ანზორ მაჭარაშვილი - შპს - „ორიენტირის“ წარმომადგენელი;
26. ქეთევან კაშია - შპს - „ორიენტირის“ წარმომადგენელი;
27. ფატი ციმაკურიძე - შპს - „ორიენტირის“ წარმომადგენელი;
28. დალი ხვედელიძე - შპს - მახინჯაურის ლიცეუმის დირექტორი;

29. ეკატერინე მაისურაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
30. ზაზა ბუხიშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;
31. ხათუნა კალაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
32. ქეთევან მანკაფარაშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;
33. თამთა სირბილაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
34. ქეთევან ბახტაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია - რექტორი;
35. იზოლდა ადეიშვილი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრორექტორი;
36. თამარ ბუკია-ვერულაშვილი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
37. თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
38. მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
39. მარინა გედევანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
40. ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
41. ეკატერინე ბალიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
42. ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
43. დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
44. ქეთევან ინანაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
45. ლელა ქელბაქიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
46. ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
47. დავით ბოსტოლანაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
48. თინათინ კუბლაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
49. მარიამ დარბაიძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ზიჟაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „ათინათი-2010“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - „ორიენტირის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა;
7. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. საბჭოს წევრებსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი

I. განხორციელებული პროცედურა

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორის თამარ შუდრას ინფორმაცია - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტმა 2011 წლის 12 აპრილს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა განაცხადი (№03-2636) სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი მივლინებულ იქნა დაწესებულებაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით.

II. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უძრავი ქონება სამ დამოუკიდებელ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №18/22 (აღნიშნული ფართიდან სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება - 3709.28 კვ.მ, დამხმარე მიზნებისათვის - 1504 კვ.მ.); ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №19/1 (საერთო ფართი - 851 კვ.მ) და ქ. მარნეული, გოგებაშვილის ქ.№2 (საერთო ფართი - 1483 კვ.მ). ამავდროულად, ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №18/22- ში მდებარე ფართის პირველ სართულზე და ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №19/1-ში მდებარე ფართის მეოთხე სართულზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულება იგეგმება შესაბამისად 01.07.2011 და 30.05.2011-მდე. ამასთან დაწესებულებას ჰყავს 56 პროფესორი და პროფესიული განათლების 20 მასწავლებელი.

ზეპირ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა თავისი პოზიციის დაფიქსირება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა შეფასებას ეთანხმებოდა.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა რომ, განაცხადის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს, აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები განახორციელოს ქ. თბილისი, რუსთავეის

გზატკეცილი №18/22-ში მდებარე ფართზე, ხოლო ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №19/1 და ქ. მარნეული, გოგებაშვილის ქ. №2 მისამართებზე არსებული ფართი გამოიყენოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად კი დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავს მხოლოდ ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №19/1-ში მდებარე ფართზე.

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საერთაშორისო ურთიერობათა უნივერსიტეტის წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა ქ. მარნეულში, გოგებაშვილის ქ. №2-ში არსებულ მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობის გამოყენების მიზანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა თავისი მოთხოვნა და განმარტა, რომ ქ. მარნეულში, გოგებაშვილის ქ. №2-ში მდებარე სამსართულიანი შენობიდან (საერთო ფართი 1483კვ.მ) პირველი სართულის გამოყენებას გეგმავს სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებისათვის (საგადასახადო საქმე), ხოლო დანარჩენ ფართზე განახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა, დაეზუსტებინათ, შესაძლებელი იყო თუ არა ქ. მარნეულში, გოგებაშვილის ქ. №2-ში მდებარე ფართის ამგვარი გაყოფა. ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნული შესაძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) 36-ე მუხლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 400-ისა.

ავტორიზაციის დებულების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების სასწავლო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში გამოყენებული დამხმარე ფართი შეფარდებული 16-თან, მაგრამ არა უმეტეს 500-ისა;

გ) აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 500-ისა. თავმჯდომარემ აგრეთვე განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისას მხედველობაში მიიღოს დაწესებულების ის ფართი, რომელშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. თუ სტუდენტთა ჩარიცხვის მომენტისათვის სარემონტო სამუშაოები დასრულებული არ იქნება, დაწესებულებას ეს ფართი არ ჩაეთვლება რაოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, ხოლო ამ ფართის გათვალისწინებით გამოტანილი გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. პარამეტრების მიხედვით დაწესებულების სტუდენტთა ადგილების რაოდენობაა 1341, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა - 631.

III. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო ურთიერობათა უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1341-ით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 631-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

IV. გადაწყვეტილება

ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 36-ე მუხლის, 37 -ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

1. შპს - საერთაშორისო ურთიერობათა უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 1341-ით;
2. შპს - საერთაშორისო ურთიერობათა უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 631-ით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ქეთევან ფანჩულიძეს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით სხდომის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ქეთევან ფანჩულიძემ დამსწრე პირებს მოკლედ მოახსენა განხორციელებული პროცედურის შესახებ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლამ 2011 წლის 7 თებერვალს №03 -795 განაცხადით მიმართა ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით. 2011 წლის 11-14 აპრილს ა(ა)იპ - ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა - მარინა გედევანიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ელენე გვენცაძე და ქეთევან ფანჩულიძე).

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და ორიენტირებულია სკოლის მისიაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად მოცემულია სკოლაში განსახორციელებელი სასწავლო პროცესის ამსახველი

საათობრივი ბადე, სადამრიგებლო პროგრამა, შეფასების პრინციპები, ინკლუზიური სწავლების პროგრამა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული, პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება.

სკოლაში სწავლის დაწყება იგეგმება ავტორიზაციის მიღებისთანავე. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2011 წლის 2 თებერვალს პედაგოგიური საბჭოს მიერ.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებობს საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთა კათედრები, რომლებიც აერთიანებს შესაბამისი საგნების მასწავლებლებს. თითოეულ კათედრას ჰყავს ხელმძღვანელი და აქვს საგნობრივი კათედრის ჟურნალი, რომელშიც წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმები. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია საგნობრივი პროგრამები, რომლებშიც მოცემულია პროგრამის მიზნები და შედეგები, დროში გაწერილი ის აქტივობები და მეთოდები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამებს ახლავს თემატური სამუშაო გეგმები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა. პროგრამაში გაწერილია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებითაც კლასის დამრიგებელი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. სკოლას აქვს კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი,

რომელშიც მოცემულია: დამრიგებლის მოვალეობები; სადამრიგებლო კლასის დემოგრაფიული მონაცემები; დამრიგებლის სამოქმედო გეგმა; მოსწავლეზე დაკვირვების მექანიზმები; ფსიქოლოგთან თანამშრომლობა, დაკვირვების შედეგების, რეკომენდაციების, დისციპლინარული გადაცდომების ამსახველი ცხრილი და მათ წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი; მშობელთან თანამშრომლობა; პრობლემების აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების

კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში მასწავლებლები იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ორივე ტიპის შეფასებას (განმსაზღვრელს და განმავითარებელს) და სამ კომპონენტს (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამჭვირვალობა ეხმარება მოსწავლეს, დაადგინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და შესაბამისად განახორციელოს სწავლის პროცესი; აღნიშნული კრიტერიუმები და რუბრიკები ეხმარება მასწავლებელს, სწორად შეაფასოს და ისე დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს; კრიტერიუმები და რუბრიკები ეხმარება მშობელსაც, რათა ზუსტად განსაზღვროს საკუთარი შვილის შესაძლებლობები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში მოწყობილია სპეციალური „მშობლის ოთახი“ ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. სკოლაში შემუშავებულია მშობელთა ჩართულობის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას. პროგრამაში ჩამოთვლილია ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობლის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. შემუშავებულია სპეციალური კითხვარი, რომლის

საშუალებითაც მშობლები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რაც გულისხმობს სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგს. სკოლის საქმიანობის შეფასების მიზნით, სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის (მასწავლებელი, მოსწავლე) შემუშავებულია სპეციალური კითხვარები. კითხვარები ანონიმურია და მათი საშუალებით ადვილად ხდება სკოლაში არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრისა და სკოლის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსაზღვრა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას აქვს „ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის

შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

1.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2011 წლის 11 იანვარს დააფუძნა „საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა“. სკოლის იურიდიული მისამართია შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური). აღნიშნულ მისამართზე სკოლა ფლობს შენობა-ნაგებობას საერთო ფართობით 1040 კვ.მ (შენობა №11), რომელიც 2011 წლის 31 იანვარს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2011 წლის 27 იანვარს გაცემული №04/1184 თანხმობის საფუძველზე, ათი (10) წლის ვადით ათხოვა „საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას“.

გარდა ამისა, ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა კიდეც 5 (ხუთი) კორპუსის თხოვების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2011 წლის 12 აპრილს „საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას“ ათხოვა, რომელთაგან მე-6 კორპუსში მოწყობილია სასადილო სკოლის მოსწავლეთათვის, 22-ე კორპუსში სკოლის სპორტული დარბაზია, მე-14 კორპუსი სასაწყობე, ხოლო მე-8 და მე-20 კ კორპუსები სარემონტო კორპუსებია. აღნიშნულ კორპუსებში უკვე დაწყებულია სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგაც ფართი აღიჭურვება სასკოლო ინვენტარით, მოეწყობა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	შუახევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №11, (შენობის საერთო ფართი)	1040
2	შუახევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №06, სასადილო კორპუსი (შენობის საერთო ფართი)	1297
	შუახევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №08,	987

	სარემონტო ფართი (შენობის საერთო ფართი)	
	შუახვევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №14, სასაწყობე კორპუსი (შენობის საერთო ფართი)	668
3	შუახვევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №20, სარემონტო ფართი (შენობის საერთო ფართი)	312
4	შუახვევის რაიონის სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური), კორპუსი №22, სპორტული დარბაზი (შენობის საერთო ფართი)	588

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნტის თანახმად, დაწესებულებას აქვს „საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით, კერძოდ: ორადგილიანი საკლასო მერხებითა და სკამებით, სასკოლო დაფებით.

2011 წლის 14 მარტს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფა ლურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ „საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას“ ათხოვა საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ინვენტარი, კერძოდ: 801 (რვაას ერთი) ცალი სკამი, 417 (ოთხას ჩვიდმეტი) ცალი მერხი, 26 (ოცდაექვსი) ცალი დიდი დაფა, 14 (თოთხმეტი) ცალი პატარა დაფა, 4 (ოთხი) ცალი საინფორმაციო დაფა, 5 (ხუთი) ცალი კარადა, 8 (რვა) ცალი კომპიუტერი, 13 (ცამეტი) ცალი მასწავლებლის მაგიდა, 2 (ორი) ცალი კაბინეტური მაგიდა, 24 (ოცდაოთხი) ცალი ელექტროლუმენი, 3000 (სამიათასი) ცალი წიგნი.

კომპიუტერების ტექნიკური მონაცემებია: ოპერატიული სიჩქარე 2,0 GHz, შიდა ოპერატიული მეხსიერება 256 GB.

გარდა ამისა, სკოლას კიდევ აქვს 25 კომპიუტერი შემდეგი ტექნიკური მონაცემებით: ოპერატიული სიჩქარე 2,6 GHz, შიდა ოპერატიული მეხსიერება 320 GB (31 ერთეული გამოიყენება სასწავლო პროცესში, ხოლო 2 - სკოლის მართვაში); 1 პრინტერი; ქსეროქსის აპარატი; 4 (ოთხი) ცალი პროექტორი და ეკრანი; კომპიუტერული ტექნიკისთვის სკოლას აქვს მუდმივი დენის წყარო - UPS.

სკოლაში არის 3 კომპიუტერული კლასი. დაწესებულების განმარტებით, მიმდინარე წლის 20 აპრილამდე, საატესტატო გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ყველა კომპიუტერი ჩართული იქნება სკოლის შიდა ქსელსა და ინტერნეტ ქსელში. ასევე დამონტაჟებული იქნება სათვალთვალო კამერები.

ზეპირ მოსმენაზე ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არის ორადგილიანი მერხები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სტანდარტის მოთხოვნის დაცვის მიზნით ორადგილიან მერხზე განთავდება ერთი მოსწავლე. საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განემარტა, ორადგილიან მერხზე ერთი მოსწავლის განთავსება ხომ არ გამოიწვევდა მოსწავლეთა ჯგუფების რაოდენობის შეზღუდვას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საკლასო ოთახში იგეგმება 24 მოსწავლის განთავსება და ორადგილიან მერხზე ერთი მოსწავლის განთავსება არ გამოიწვევს ჯგუფების რაოდენობის შეზღუდვას.

საბჭომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური ადგილი, რათა მან სრულყოფილად შეძლოს ჩართვა სასწავლო პროცესში და არ არის აუცილებელი ერთადგილიანი მერხების ქონა.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულებას აქვს „სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, შესაბამისი გასახდელებით. დარბაზში ტარდება ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის გაკვეთილები, რისთვისაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე.

2011 წლის 14 მარტს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფა ლურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ „საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას“ ათხოვა საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინვენტარი, კერძოდ: 4 (ოთხი) ცალი კალათბურთის ბურთი, 4 (ოთხი) ცალი ფრენბურთის ბურთი, 3 (სამი) ცალი ფეხბურთის ბურთი, ერთ ფრენბურთის ბადე, ერთი ფეხბურთისა და ერთი წყვილი კალათბურთის ბადე.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო, კერძოდ: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა; კეთილმოწყობილი სველი წერტილები; მე-11 სასწავლო კორპუს ში

გარემონტებული ნათელი საკლასო ოთახები, რომელთა გათბობაც უზრუნველყოფილია ელექტროლუმელებით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისათვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოებითა და სხვა დამხმარე საკითხავი ლიტერატურით. წიგნადი ფონდი მოიცავს 3 424 (სამი ათას ოთხას ოცდაოთხი) ერთეულ წიგნს, რომელთაგანაც:

3000 სტამბა (ათასი) ერთეული წიგნი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სკოლას ათხოვა 2011 წლის 14 მარტს გაფორმებული თხოვნის ხელშეკრულებით;

152 (ას ორმოცდათორმეტი) ერთეული სასწავლო სახელმძღვანელო სკოლას საჩუქრად გადასცა ქედის რესურსცენტრმა;

152 (ას ორმოცდათორმეტი) ერთეული სასწავლო სახელმძღვანელო სკოლას საჩუქრად გადასცა შუახევის რესურსცენტრმა;

123 (ას ოცდასამი) ერთეული სასწავლო სახელმძღვანელო სკოლას საჩუქრად გადასცა ხულოს რესურსცენტრმა.

აღნიშნული წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში, აღნუსხულია ანბანური კატალოგში, არსებობს კარტოთეკები და მკითხველის ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის სპეციალური ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება ბიბლიოთეკით მოსარგებლე მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლას პერიოდიკაზე ხელშეკრულებები გაფორმებული არა აქვს, თუმცა სკოლის ხელმძღვანელობა მუდმივად იძენს პერიოდულ გამოცემებსა და პედაგოგთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ლიტერატურას. სკოლა სისტემატურად მარაგდება საქართველოს საპატრიარქოს ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები, თუმცა შენობის პირველ სართულზე მათთვის არის სპეციალური საკლასო ოთახი, ხოლო სკოლის ფუნქციონირების დაწყებამდე იგეგმება კიბეებზე პანდუსების დამონტაჟება.

ზეპირ მოსმენაზე სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელსა და ექსპერტს დააზუსტებინა აღნიშნული ოთახის გამოყენებით ექსპერტთა ვიზიტის ეტაპისათვის საგანმანათლებლო საქმიანობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის განხორციელებადი იყო თუ არა. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებადობის შესაძლებლობა დაადასტურა როგორც ექსპერტმა, ისე დაწესებულების წარმომადგენელმა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე გამოვლენილი გარემოებები:

სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა. ვებგვერდი შეიქმნა 2011 წლის 2 თებერვალს. მასზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ; სკოლის ადმინისტრაციის შემადგენლობა; სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა; სასკოლო ღონისძიებათა გეგმა; მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა; მასწავლებლის შეფასების ფორმა; გაკვეთილის შეფასების ფორმა; სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამა; მშობელთა ჩართულობის პროგრამა. სისტემატურად მიმდინარეობს ვებგვერდის თემატურად დატვირთვა.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით,

„ვ) სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

გ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.“

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) სპეციალურ დაფაზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) მე-11 კორპუსის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სპეციალური, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საექიმო კაბინეტი. სკოლასა და ა(ა)იპ ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტს ემსახურება ერთი ექიმი, რომელიც დანიშნულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
- დ) სკოლას 2011 წლის 11 თებერვალს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან შუახევის რაიონის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური) საპატრიარქოს კუთვნილებაში არსებული ქონების 24 საათის განმავლობაში დაცვის თაობაზე. ყოველდღიურად სკოლის ტერიტორიას იცავს დაცვის 9 თანამშრომელი და დაცვის უფროსი.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.“

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, 2011 წლის 11 იანვარს დარეგისტრირებული წესდება; 2011 წლის 4 თებერვალს პედსაბჭოს სხდომაზე განხილული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი; შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის დერეფანში. გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურები ასახულია პედსაბჭოსა და კათედრების სხდომათა ოქმებში, სკოლის დირექტორის ბრძანებებში.

თითოეულ კლასში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი, კლასის დამრიგებლის, მოსწავლისა და მშობლის მორიგეობის განრიგი.

სკოლა სისტემატურად ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოსწავლის ქცევის, სკოლის დირექტორის ეთიკისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსებით.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

10. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.“

10.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი მიმდინარე და სამომავლო გეგმები და მატერიალური რესურსების

ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. აღნიშნული გეგმები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

10.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

11. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.“

11.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, კერძოდ:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებები აკინძულია საქალაქო და ასევე თავმოყრილია ელექტრონულ ბაზაში. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.
2. სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. არსებობს სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების ელექტრონული ბაზაც.
3. სკოლაში შემოსული განცხადებების სარეგისტრაციო წიგნით, რომელშიც თავმოყრილია სკოლაში შემოსული ყველა განცხადება. წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.
4. სკოლას მომზადებული აქვს მოსწავლეთა ანბანური წიგნი, რომელშიც მითითებულია მოსწავლის სახელი და გვარი, ეროვნება, დაბადებისა და სკოლაში შემოსვლის თარიღები, კლასი, ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და პირადი საქმის ნომერი, სკოლიდან წასვლის მიზეზი, თარიღი, შესაბამისი ბრძანების ნომერი, წასვლის ადგილი. აღნიშნული წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქულია, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

11.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შერჩეული ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ვიზიტის მომენტისათვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 53 მასწავლებელთან, რომელთაგან 7-ს აქვს აკადემიური დოქტორის წოდება. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას შერჩეული ჰყავს 53 მასწავლებელი.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. თანამშრომლები სკოლაში მიიღებიან პირადი განცხადებით, რის შემდეგაც სკოლა ამოწმებს მის სამუშაო გამოცდილებასა და სტაჟს. მასწავლებლად არ მიიღება პირი, რომელსაც არა აქვს მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. თანამშრომელთა გათავისუფლებას წინ უსწრებს წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას თანამშრომლის გათავისუფლების თაობაზე იღებს სკოლის დირექტორი. გადაწყვეტილებას წახალისებისა და სანქციების შესახებაც იღებს სკოლის დირექტორი.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან 2010-2011 სასწავლო წლის დასრულებამდე გაფორმებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში პედაგოგთა პროფესიული გადამზადების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს „მასწავლებლის ოთახი“, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო თანამედროვე მეთოდური ლიტერატურა, რომელიც მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულ ოთახში სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე სისტემატურად თავსდება ინფორმაცია განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებზე; სკოლის პედაგოგებისთვის იგეგმება ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად შესაბამისი ღონისძიებები; სკოლას ჰყავს პროფესიულ უნარებში სერთიფიცირებული მასწავლებლები, რომლებიც ამავე მიმართულებით კონსულტაციას უწევენ სკოლის პედაგოგებს; სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ა(ა)იპ - ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტთან, მასწავლებლები სისტემატურად იღებენ კონსულტაციებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან; სკოლის პედაგოგები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში „ტბელობა“ და „დიდაქარობა“; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სკოლის მასწავლებლებისთვის იგეგმება აკრედიტებული პროფესიული

განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების გავლა; შემუშავებულია სკოლის მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმები.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლ ის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა, მასწავლებელმა, მოსწავლემ და კოლექტივის ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს. სკოლაში სუფევს ქრისტიანული რელიგიისადმი პატივისცემის ატმოსფერო. სკოლას ჰყავს მოძღვარი და ყველა წინაპირობაა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შესაქმნელად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებზე მუშაობაში ჩართული იყო სკოლის კოლექტივი და დაცული იყო ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 1223-ით.

3. შპს „ათინათი-2010“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ათინათი-2010“-ის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ლალი შაიშმელაშვილს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით სხდომის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ლალი შაიშმელაშვილმა დამსწრე პირებს მოკლედ მოახსენა განხორციელებული პროცედურის შესახებ.

შპს „ათინათი-2010“-მა 2011 წლის 15 მარტს №03-1884 განაცხადით მიმართა ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით. 2011 წლის 6-8 აპრილს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის (შემადგენლობა - ეკატერინე ბაღიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) ნინო ფეტვიაშვილი და ლალი შაიშმელაშვილი) ვიზიტი შპს „ათინათი-2010“-ში.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა არ არის სრული სახით წარმოდგენილი. შემუშავებულია მხოლოდ საათობრივი ბადე და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; სრულად არ არის წარმოდგენილი საადმინისტრაციო პროგრამა. არ არის ცალკეული საგნების სასწავლო გეგმები.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სააღმზრდელო პროგრამა მოიცავს სასცენო მოძრაობისა და მეტყველების კულტურის სწავლებას, თუმცა, არ არის წარმოდგენილი ამ დისციპლინების სასწავლო გეგმები და შეფასების კრიტერიუმები. სკოლაში ფუნქციონირებს თოჯინების და საბავშვო თეატრები და სატელევიზიო შემეცნებ-გასართობი პროგრამა „რატომელა“.

ზეპირ მოსმენაზე ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ საგნობრივი პროგრამის არარსებობის გამო ვერ დგინდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ნაწილის შესაბამისობა. სადამრიგებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო მხოლოდ სქემატურად. დამრიგებლის სამუშაო გეგმის, მეთოდის და სამუშაო თემატიკის არარსებობის გამო კი ვერ დგინდებოდა, რამდენად აღწევდა სადამრიგებლო პროგრამა მიზნებს.

სააღმზრდელო პროგრამაში განსაზღვრული არ იყო სწავლის შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რამდენადაც სკოლას ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია, მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულება დადებულია პირობით - ხელშეკრულების ძალაში შესვლა დამოკიდებულია ავტორიზაციის გავლასთან. ამდენად, ასეთ პირობებში, მან თავს ვერ მისცა უფლება მასწავლებლებისათვის მიეცა შრომატევადი დავალებები. სწორედ ამით არის განპირობებული საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული ხარვეზები. სკოლის ფუნქციონირების დაწყებამდე დაწესებულება შეიმუშავებს შესაბამის დოკუმენტაციას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალური სახით არის წარმოდგენილი. არ არის საგნობრივი სასწავლო გეგმები. შესაბამისად, ვერ დგინდება, პასუხობს თუ არა სასწავლო გეგმა მოსწავლეების მოთხოვნებს და აძლევს თუ არა მათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენის საშუალებას.

ზეპირ მოსმენაზე ცენტრის თანამშრომელმა განმარტა რომ საგნობრივი პროგრამის არასებობის გამო ვერ დგინდებოდა, იძლეოდა თუ არა კონკრეტული საგანი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებსა და ფასეულობებს.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ფორმას განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა, არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების გამჭვირვალობის მექანიზმები.

ზეპირ მოსმენაზე ცენტრის თანამშრომელმა ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემის გამჭვირვალობის მექანიზმის არარსებობის გამო, არ ჩანდა როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შეფასების კრიტერიუმების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესს, რომლის თანახმად მშობელთა ინფორმირება მოხდება მშობელთა კრებაზე და დაუშვებელია ნაკლებად წარმატებული მოსწავლეების ქულების საჯაროდ გამოცხადება.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი მოიცავს მასწავლებლების სემესტრული ანგარიშების მომზადებას სასწავლო გეგმის შეფასების შესახებ, ასევე კითხვარების მომზადებას მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. კითხვარების ანალიზის შედეგად მოხდება სასწავლო გეგმის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, მასში შესწორებების შეტანა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს „ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ათინათი-2010“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სამ სართულიან ნაგებობას, საერთო ფართობით - 398 კვ.მ. -ს. ხელშეკრულება დადებულია ნაგებობის მესაკუთრესთან 2010 წლის 27 ივლისს, მოქმედების ვადაა 6 წელი.

აღნიშნული ფართიდან სკოლის მიერ დაკავებულია 352 კვ.მ., დანარჩენი 46 კვ.მ. (ორი ოთახი) შპს „ათინათი-2010“-ის მიერ გამოყენებულია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისა და მოსწავლეთა მოსამზადებელი ჯგუფისთვის (რასაც ასევე ახორციელებს შპს „ათინათი-2010“. აღნიშნული საქმიანობის თაობაზე ასევე მითითებულია მის წესდებაში).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ბათუმი, კლდიაშვილის ქ.#32	352 კვ.მ.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნტის თანახმად დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით აღჭურვილი საკლასო ოთახები.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საკლასო ოთახები განლაგებულია ნაგებობის მეორე და მესამე სართულზე.

პირველ სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, რომელშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული სამუშაოები დასრულდება ა.წ. სექტემბრის თვემდე.

ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებულია 2 საკლასო ოთახი და ბიბლიოთეკა.

ნაგებობის მესამე სართულზე არის 2 საკლასო ოთახი.

საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, სასწავლო პროცესის დამხმარე სხვა თვალსაჩინოებებით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულებას აქვს „სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებულია ტანვარჯიშის დარბაზი (დარბაზი გარემონტებულია, აქ ასევე განთავსებულია სცენა, რაც იძლევა საშუალებას, რომ დარბაზი გარდა სპორტულისა, გამოყენებულ იქნას სხვა ღონისძიებებისთვის) მესამე სართულზე განთავსებულია 60 კვ.მ. ფართობის ღია ვერანდა, სადაც, სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, მომავალში მოეწყობა ღია სპორტული მოედანი.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის არსებობს დენის დამატებითი წყარო, კერძოდ: გენერატორი). სველი წერტილები განლაგებულია შენობის სამივე სართულზე და მოპირკეთებულია კაფელით და მეტლახით. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ვიზიტის დროს სკოლა თბებოდა ორი ელექტროგამათბობლით (სკოლაში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რადგან ის ახლადდაფუძნებულია და არ ჰყავს მოსწავლეები). სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, ამ ეტაპზე მოხდა ბუნებრივი აირის შემოყვანა შენობაში და ახლო მომავალში სკოლა უზრუნველყოფილი იქნება გათბობის ერთიანი სისტემით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 729 ერთეულს, მათ შორის 124 ერთეული არის სასკოლო სახელმძღვანელო, 87 ერთეული - უცხოენოვანი ლიტერატურა, მათ შორის ლექსიკონები და 518 ერთეული - მხატვრული ლიტერატურა. სკოლაში არ არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული ელექტრონული კატალოგი. არსებობს 3 საინვენტარო წიგნი (სახელმძღვანელოების, უცხოური ლიტერატურის და მხატვრული ლიტერატურის). არის სარეგისტრაციო ჟურნალი, მკითხველის ბარათები. ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა აღნიშნული წიგნადი ფონდის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან, რადგან სკოლამ აღნიშნული გეგმა სრულად ვერ წარმოადგინა, ამავდროულად, არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი სილაბუსები.

ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 10.00-დან 15.00სთ-მდე. ბიბლიოთეკაში არის 1 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტში (მაგთიფიქსი).

ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნის თაროებით, მაგიდით, სკამებით. არსებობს თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის პირველ სართულზე შესასვლელში აქვს პანდუსი, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს მისცემს პირველ სართულზე მოხვედრის საშუალებას.

სკოლას ასევე აქვს სპეციალური ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს ერთი კომპიუტერი და პრინტერი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში.

ვებგვერდის მისამართია: www.atinat.ge. ვებ გვერდზე განთავსებული მასალა მოიცავს მხოლოდ სკოლის მისიას და ზოგად ინფორმაციას შპს „ათინათი-2010“-ის შესახებ (რომელიც გარდა სკოლისა, მოიაზრებს ხელოვნების სტუდიას და ბავშვთა მოსამზადებელ კურსებს). ინფორმაცია არ არის განთავსებული ქართული უნიკოდით. არ არის განთავსებული სკოლის წესდება, სტრუქტურა, მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ. თუმცა არის საკონტაქტო ინფორმაცია.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში პერსონალის და მოსწავლეთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით არსებობს:

- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ: 3 ცეცხლჩაქრობი ბალონი, რომელიც განთავსებულია სამივე სართულზე. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები.

- პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების სამედიცინო მედიკამენტებით.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები.“

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, რომელიც დამტკიცებულია შპს „ათინათი-2010“-ის პარტნიორთა კრების მიერ. წესდება მოიცავს სკოლის მიზნებს, სტრუქტურას, სკოლის მმართველობის საკითხებს და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს, პერსონალის სამუშაოზე აყვანის საკითხებს და მათ უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. წესდებაში არ არის ჩამოყალიბებული სკოლის მისია, თუმცა გაწერილია სკოლის მიზნები და ამოცანები.

სკოლაში მოქმედებს პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი, სადაც გაწერილია თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვის წესი; თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები; წახალისების ფორმები; პასუხისმგებლობის ზომები შრომის დისციპლინის დარღვევისთვის. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის წესი; მოსწავლის მშობელთა უფლება-მოვალეობანი; მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

10. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.“

10.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე. გეგმებით გათვალისწინებულია: კომპიუტერული კაბინეტის მოწყობა მოსწავლეებისთვის; ბიბლიოთეკის გამდიდრება წიგნადი ფონდით, ასევე პერიოდიკით; რეკომენდაციების შემუშავება ახალ მეთოდოლოგიებთან და მიდგომებთან დაკავშირებით; პროფესიული ტრენინგებისა და ღონისძიებების მოწყობა; მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა საგნობრივ ტურებსა და შეჯიბრებებში; კავშირების დამყარება და გამოცდილების გაზიარება სხვა სკოლებთან; ღია სპორტული მოედნის მოწყობა; სასადილო ოთახის მოწყობა და სხვა.

10.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

11. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.“

11.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები: ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა, კერძოდ, არსებობს ბრძანების წიგნი; სკოლის თანამშრომლებსა

და მოსწავლეებზე გაცემული და მიღებული ცნობების სარეგისტრაციო ჟურნალისა და შემოსული განცხადებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმები.

11.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ჰყავს სასკოლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: პედაგოგები, ფსიქოლოგი, ექთანი. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში და იმოქმედებს ერთი წლის ვადით.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები ჩამოყალიბებულია სკოლის წესდებებსა და შინაგანაწესში, სადაც ასევე ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის ზომები და სახეები შრომის დისციპლინის დარღვევისთვის. გაწერილია წახალისებისა სახეები, თუმცა სისტემა არ არის გამჭვირვალე და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც ძალაში შევა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში და იმოქმედებს ერთი წლის ვადით.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასწავლო გეგმა სრულად არ არის წარმოდგენილი, ამდენად აღნიშნული ინდიკატორი არ დასტურდება.

ზეპირ მოსმენაზე ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც წარმოდგენილი არ იყო სასწავლო გეგმა, ვერ დგინდება დაწესებულებაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს არსებობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემუშავებულია დებულება, სადაც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ადამიანური რესურსის აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით იგი განსხვავებულს ვერაფერს ხედავს, რადგანაც აღნიშნული ორგანულად არის დაკავშირებული პროგრამულ ნაწილში არსებულ ხარვეზებთან.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო შპს - „ათინათი-2010“-ის თვითშეფასების კითხვარის, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ იხელმძღვანელა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“. საბჭომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებების შეფასების საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაწილში. რაც შეეხება პროგრამული ნაწილის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტთან, საბჭომ მიიჩნია, რომ, რამდენადაც სასკოლო სასწავლო გეგმები ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის არ არსებობდა, არც ამჟამად არსებობს (და როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა სასწავლო პროცესის დაწყებამდე გეგმავს მათ შემუშავებას), აგრეთვე სადამრიგებლო პროგრამაში არსებული ხარვეზებისა და შეფასების სისტემის გამჭვირვალობის მექანიზმის არარსებობის გამო საბჭო ვერ შეძლებს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენას.

VI. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ათინათი-2010“-ისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

VII. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად შპს „ათინათი-2010“-ს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. შპს - ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ორიენტირის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ბექა ძამაშვილს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით სხდომის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ბექა ძამაშვილმა დამსწრე პირებს მოკლედ მოახსენა განხორციელებული პროცედურის შესახებ.

შპს - ორიენტირმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 17 მარტს მიმართა ცენტრს №17 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-1963) და თანდართული დოკუმენტაციით.

დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და ავტორიზაციის სტანდარტებთან მისი შესაბამისობის შემოწმების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2011 წლის 7 და 8 აპრილს განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: დავით ჭეიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ქეთევან ინანაშვილი, ბექა ძამაშვილი).

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების

სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამებზე გაკეთებული მითითების მიხედვით, კბილის ტექნიკოსის I, II, III საფეხურის, ექთნის თანაშემწის II, III საფეხურის, მასაჟისტის III საფეხურის, ინფორმაციული ტექნოლოგიის III საფეხურის, ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის, ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის III საფეხურის პროგრამები განხილულ იქნა აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 იანვრის სხდომაზე, ასახულია ოქმში №1 და დამტკიცებული დირექტორის 2011 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით. აკადემიური საბჭოს ოქმებისა და რექტორის ბრძანებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ რეალურად, აღნიშნული პროგრამები განხილულ იქნა აკადემიური საბჭოს 2011 წლის 3 თებერვლის სხდომაზე, ასახულია ოქმში №1 და დამტკიცებულია დირექტორის 2011 წლის 3 თებერვლის №2 ბრძანებით.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ინფორმაციული ტექნოლოგიების III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორ - ქ. კაშიას, ხელმოწერა.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰქონდა პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერა.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის IV საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ - ფ. ციმაკურიძისა და პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორ - ქ.

კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერები.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის V საფეხურის პროგრამას არ ჰქონდა პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორ - ქ. კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერა.

ბუღალტერის III საფეხურის პროგრამას არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფ. ციმაკურიძისა და პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორ - ქ. კაშიას ხელმოწერა.

ზეპირ მოსმენაზე, გამოირკვა, რომ დაწესებულების წესდების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება დირექტორის წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ. აღნიშნული წესი დაცულია, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ წესდების და საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე გაცნობით დადასტურდა. წესდებაში არაფერი იყო ნახსენები პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის უფლებამოსილების შესახებ ამ საკითხთან მიმართებით და ექსპერტთა ჯგუფისათვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ ჰქონდა სპეციალიზაციის კოორდინატორის ხელმოწერა პროგრამების მხოლოდ ნაწილს.

საბჭო მიიჩნევს, რომ ხარვეზი არაარსებითია, რადგან დაწესებულების წესდებით დადგენილი წესი პროგრამების დამტკიცების შესახებ დაკმაყოფილებულია.

1.1.3. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა.

1.1.4. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

ა) ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, მესამე საფეხურზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის კვალიფიკაცია, ხოლო მეხუთე საფეხურზე - ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს:

1. ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მესამე საფეხურის (ექსპერტის თანაშემწე) პროფესიული კვალიფიკაცია.

2. ქიმიური სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მეხუთე საფეხურის (უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი) პროფესიული კვალიფიკაცია.

ბ) ბუღალტერის III, IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, მესამე საფეხურზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბუღალტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, მეოთხე საფეხურზე - ბუღალტერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო მეხუთე საფეხურზე - ბუღალტერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს:

1. ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მონაგარიშე;

2. ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ - ტექნიკოსი;

3. ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერი.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების დირექტორმა ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით განაცხადა, რომ ფრჩხილებში მითითებული სიტყვები მიიჩნიეს ალტერნატიულ შესაძლებლობად კვალიფიკაციის მინიჭებისა და არა სავალდებულოდ. ამასთან დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილი იყო პროფესიული სტანდარტების პროექტების საფუძველზე და პროექტის იმ

ვერსიაში, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ პროგრამა შეადგინა, ფრჩხილებში მითითება არ არსებობდა.

ბუღალტრის III, IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით, იგივე მიზეზი დასახელდა დაწესებულების მხრიდან, თუმცა დირექტორის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ ეს ხარვეზები გამოსწორებულია.

1.1.5 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამებზე დაშვების წინაპირობებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები, ასევე აღიარების მიმართ მოქმედი წესი შემდეგ პროგრამებთან მიმართებით:

კბილის ტექნიკოსის I, II, III, IV, V საფეხურები, მასაჟისტის III, IV, V საფეხურები, ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხური.

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2010 წლის 2 ნოემბრის №32 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი, რომლის მიხედვითაც მეორე და შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვისთვის საჭიროა:

„ა) წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება.

ბ) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება, პრაქტიკული კომპონენტის ან გამოცდილების გათვალისწინებით.

გ) წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის უნარების და ღირებულებების აღიარება ერთიან ეროვნულ გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე.“

აღნიშნული წესის მიხედვით, არ ირკვევა გაწერილი ალტერნატივებიდან რომელი გამოიყენება თითოეულ საფეხურზე ჩარიცხვისთვის.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება შემდეგ პროგრამებთან მიმართებით: ბუღალტრის III, IV, V საფეხურები.

ეს ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან

წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე.“

3. პროგრამაზე შეიძლება დაიშვას მე -12 კლასის მოსწავლე ან პირი, რომელსაც დაძლეული აქვს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი, შემდეგ პროგრამების მიხედვით:

ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის III, IV, V საფეხურები, მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV, V საფეხურები, ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III, IV, V საფეხურები.

ეს ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „ პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე.“

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების დირექტორი დაეთანხმა ექსპერტთა შენიშვნას და განმარტა, რომ დაწესებულებაში ცალკე არსებობს ჩარიცხვის წესი და პროგრამებში ასახული არ არის. სხდომაზე გამოიჩინა, რომ ჩარიცხვის წესის შესაბამისად, დაწესებულებაში არსებობს ჩარიცხვის სამი ალტერნატივა: წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება; არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება და ერთიანი ეროვნულ გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ჩაბარება, თუმცა შეუძლებელი იყო იმის დადგენა კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით რომელი ალტერნატივა გამოიყენებოდა.

სხდომაზე გამოიკვია, რომ ჩარიცხვის წინაპირობები აღნიშნული იყო კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებში და ხარვეზები სწორედ კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებით დადგინდა.

1.1.6. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა, რომელიც არ შედის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულების, დარგის/ სპეციალობის, ქვედარგის /სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში.

1.1.7. ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი ნაკლებია სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან შედარებით, კერძოდ:

ა) "მასაჟისტის" III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არის 1800 საათი, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 750 საათი, სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი არის 60%, პროგრამის მიხედვით - 41%.

ბ) "ინფორმაციული ტექნოლოგის" III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არის 1800 საათი, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 890 საათი, სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი არის 60%, პროგრამის მიხედვით - 49%.

გ) "ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის" III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არის 1800 საათი, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 800 საათი, სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი - 60%, პროგრამის მიხედვით - 44%.

დ) "ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის" III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არის 1800 საათი, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 820 საათი, სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი - 60%, პროგრამის მიხედვით - 46%.

ე) "ფარმაცევტის თანაშემწის" V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა არის 1800 საათი, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 760 საათი, სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი - 60%, პროგრამის მიხედვით - 42%.

ზეპირ მოსმენაზე, გამოირკვა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამები 2011 წლის 1 თებერვლამდე წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 15 მარტს, მოხდა პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და დაწესებულებამ ცენტრისგან მიიღო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობა. სხდომაზე წარმოდგენილი იქნა აღნიშნული წერილის ასლი. საბჭოზე გამოირკვა, რომ ცენტრს გაცემული აქვს თანხმობა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულ შემდეგ პროგრამებზე: „მასაჟისტის“ III საფეხური, „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ III საფეხური, „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის“ III საფეხური და „მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის“ III საფეხური.

რაც შეეხება, "ფარმაცევტის თანაშემწის" V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, საბჭოზე გამოირკვა, რომ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, დაწესებულებას ცენტრის მხრიდან არ მიუღია თანხმობა ამ პროგრამის განხორციელებაზე.

საბჭომ შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 1 აპრილის წერილი, რის საფუძველზეც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცენტრის წერილით საბჭო არ არის შეზღუდული, რადგან ცენტრის წერილში საუბარი არ არის პროგრამების შინაარსობრივ შესაბამისობაზე სტანდარტებთან, არამედ ცენტრმა უბრალოდ პროგრამის განხორციელების ფორმალური უფლებამოსილება დაუდასტურა დაწესებულებას. ცენტრი არ იყო კომპეტენტური, ემსჯელა პროგრამების შესაბამისობაზე პროფესიულ სტანდარტებთან, რადგან ეს უფლებამოსილება ავტორიზაციის საბჭოს გააჩნია. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს აგრეთვე განუმარტა, რომ წერილთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გაკეთების კომპეტენცია ცენტრს გააჩნდა, თავმჯდომარის აზრით ზემოაღნიშნული წერილი სულაც არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მოლოდინს მაძიებლისათვის, პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით, ხოლო საბჭო მუშაობას გააგრძელებდა ჩვეულ

რეჟიმში და გადაწყვეტილებას მიიღებდა ექსპერტთა დასკვნის, დაწესებულების ახსნა-განმარტებებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოკვლეული გარემოებების საფუძველზე.

1.1.8. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში და ასევე კურსის სილაბუსებში პროფესიული სტუდენტის საათობრივ დატვირთვაში გათვალისწინებული არ არის „გამოცდების მომზადება-ჩაბარება“, რასაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გამოცდები გათვალისწინებულია დამოუკიდებელი მუშაობის საათებში. საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ გამოცდების ჩაბარება ცალკე კომპონენტად არ არის გამოტანილი საკონტაქტო საათებში.

1.1.9. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსები სტრუქტურირებულია, მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, სავალდებულო ლიტერატურა და სხვა, თუმცა სილაბუსებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები:

1.1.9.1 სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის (ერთი დასახელების პროგრამის ფარგლებში) სილაბუსებში ასახული დაშვების წინაპირობები, მიზნები, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია, ამიტომ, ვერ ირკვევა, თუ როგორ ხდება სტუდენტის ცოდნის პროგრამული განვითარება საფეხურების მიხედვით. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.“

მაგალითისთვის: „კბილის ტექნიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „ინგლისური ენა“ (III, IV, V საფეხურები); „მასალათმცოდნეობა“ III საფეხური და „კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა“ IV საფეხური; „მოუხსნელი პროტეზების დამზადების ტექნიკა“ III, IV, V საფეხურები; „ბავშვთა ასაკის ორთოდონტული და ორთოპედიული კონსტრუქციების დამზადების ტექნიკა“ III, IV, V საფეხურები ;

„მასაჟისტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „სამედიცინო მასაჟი ბავშვებში“ III, IV, V საფეხურები; „სამედიცინო მასაჟი ტრამვატოლოგიასა და ორთოპედიაში“ IV, V საფეხურები;

„ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „კვების პროდუქტების წარმოების ტექნოქიმიური კონტროლი“ III, IV, V საფეხურები ;

„ბუღალტერის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „ფინანსური აღრიცხვა“ III, IV, V საფეხურები; „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ III, IV, V საფეხურები;

„ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „არაორგანული ქიმია“ III, IV, V საფეხურები;

„მცირე ბიზნესის მწარმოებელის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები: „სტატისტიკა ბიზნესში“ IV, V საფეხურები; „ინგლისური ენა“ IV, V საფეხურები;

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ზრდა ხდება კრედიტების გაზრდის ხარჯზე. იდენტურ საკითხებს თუ მესამე საფეხურზე ერთი კრედიტი აქვს დათმობილი, იგივე საკითხს მეოთხე საფეხურზე ეთმობა ერთნახევარი კრედიტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სილაბუსები იყო მსგავსი და არა იდენტური, რადგან სწავლის შედეგები სილაბუსებში განსხვავებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, გამოეყენებინა აღნიშნული ხარვეზის მქონე ნებისმიერი სილაბუსი.

ექსპერტმა გამოაქვეყნა მასაჟისტის მესამე საფეხურის პროგრამის სასწავლო კურსის - „სამედიცინო მასაჟი ბავშვებში“ - სილაბუსი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, კურსის მიზნები, შინაარსი, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია.

1.1.9.2 საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში „ცოდნის შეფასების“ გრაფაში გაწერილი შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლს, თუმცა სილაბუსებში „ECTS - ის რაოდენობის“ გრაფაში მოცემული შეფასების სისტემა არაა დეკლარატორია, ციტირება: „დამაკმაყოფილებელი შეფასება განისაზღვრება 51-70 ქულით, კარგი 70-90 ქულით, ფრიადი 90-100 ქულით“.

1.1.9.3 „მცირე ბიზნესის მწარმოებელის“ IV საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო კურსს „სამართალმცოდნეობის საფუძვლებს“, თუმცა იგივე პროგრამის XIII გრაფაში „ადამიანური რესურსების განხორციელება“ გაწერილია ამ კურსის ნაცვლად „სამოხელეო სამართალი“ და სილაბუსიც წარმოდგენილია ასეთივე დასახელებით;

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში მიღწევად რეჟიმში არსებობს სამართალმცოდნეობის მეოთხე კურსი, სადაც იკითხება სამოხელეო სამართალი და სილაბუსი მექანიკურად მოხვდა პროფესიული პროგრამის საქაღალდეში.

1.1.9.4 მასაჟისტის მე-5 საფეხურის პროგრამის სილაბუსში „ფიზიოთერაპიის საფუძვლები“ ლიტერატურა საერთოდ არ არის მითითებული.

1.1.9.5 საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში გაწერილია „სასწავლო პრაქტიკისა“ და/ან „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო საგანი. აღსანიშნავია, რომ არ არის წარმოდგენილი პროგრამების სილაბუსები, ანდა პრაქტიკის სასწავლო გეგმისა და სწავლის შედეგების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაცია, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტს. შპს „ორიენტირის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ზეპირი განცხადებით სილაბუსები/დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, რადგან სტუდენტის სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის პროგრამული განხორციელება აღწერილია შპს

„ორიენტირის“ მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში და სტუდენტის ხელშეკრულებაში რომლითაც ხელმძღვანელობს პრაქტიკის კოორდინატორი. აღნიშნული ხელშეკრულებები და მემორანდუმები მოიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს, მიზანს, გადასახადებისა და ანგარიშსწორების პირობებს, ვალდებულებებს, მოქმედების ვადას და სტანდარტული ხელშეკრულების სხვა პუნქტებს.

ზეპირ მოსმენაზე, წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას და აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი გამოსწორებულია და წარმოდგენილია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ სილაბუსების შექმნამდე პრაქტიკასთან მიმართებით არსებობდა მხოლოდ მემორანდუმები. გამოირკვა, რომ მემორანდუმში მხოლოდ ზოგადი ხასიათის ნორმები იყო და იქიდან არ დგინდებოდა პრაქტიკულ კომპონენტში პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვის მოცულობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	090251 კბილის ტექნიკოსი	I	კბილის ტექნიკოსის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2.	090251 კბილის ტექნიკოსი	II	კბილის ტექნიკოსის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
3.	090251 კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	40

4.	090251 კბილის ტექნიკოსი	IV	კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
5.	090251 კბილის ტექნიკოსი	V	კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	50
6.	090551 ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრია)	II	ექთნის თანაშემწის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
7.	090551 ექთნის თანაშემწე (მომვლელი, ძიძა, გერიატრია)	III	ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	090552 პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70
9.	090651 მასაჟისტი	III	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10.	090651 მასაჟისტი	IV	მასაჟისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	65
11.	090651 მასაჟისტი	V	მასაჟისტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70
12.	040153 ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგიის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

13.	041057 ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	III	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის კვალიფიკაცია	60
14.	041057 ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	IV	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
15.	041057 ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	V	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	65
16.	041052 ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	III	ნივთიერების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის III საფეხურის კვალიფიკაცია	60
17.	041052 ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	IV	ნივთიერების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
18.	041052 ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	V	ნივთიერების და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	65

19.	090351 ფარმაცევტის თანაშემწე	V	ფარმაცევტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
20.	020151 ბუღალტერი	III	ბუღალტრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
21.	020151 ბუღალტერი	IV	ბუღალტრის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
22.	020151 ბუღალტერი	V	ბუღალტრის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	40
23.	020360 მცირე ბიზნესის მწარმოებელი	IV	მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
24.	020360 მცირე ბიზნესის მწარმოებელი	V	მცირე ბიზნესის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
25.	060451 კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპოსტი)	IV	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპოსტ ის) IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
26.	060451 კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპოსტი)	V	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპოსტ ის) V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	65

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არსებობს დირექტორის 2011 წლის 18 თებერვლის №5 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ორიენტირის“ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტირის“ მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგები კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებში მოცემული სწავლის შედეგების იდენტურია.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დირექტორის 2010 წლის 2 ნოემბრის №32 ბრძანებით დამტკიცებულია:

1. შპს „ორიენტირის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი“;
2. „საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“;
3. „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესი“;
4. შპს „ორიენტირის“ პროფესიულ სასწავლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების წესი“.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.“

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დირექტორის 2010 წლის 2 ნოემბრის №32 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი“.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დირექტორის 2010 წლის 2 ნოემბრის №32 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს „ორიენტირის“ პროფესიული სასწავლო დაწესებულების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“. შპს „ორიენტირის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა შესაბამისი მასალები. აღსანიშნავია, რომ შპს „ორიენტირის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება მიესადაგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას, კონკრეტულად: პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „თავის საქმიანობაში სამსახური ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით“. აგრეთვე დებულებაში საუბარია დაწესებულების აკადემიურ პერსონალზე. მიზანშეწონილია აღნიშნული არ ფიგურირებდეს.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა, რაც გამოსწორებულია.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტირს“ (საზოგადოებრივი კოლეჯი), ქ. თბილისში წერონისის ქ. N208-ში საკუთრებაში აქვს 1008,28 კვ.მ. ფართი, რომელიც შედგება ერთი ოთხსართულიანი შენობისაგან და შპს „დენტა“-საგან იჯარით აღებული აქვს 120 კვ.მ. ქ. თბილისში ცოტნე დადიანის ქუჩის N34-ში, მე-17 კორპუსში. ორივე მისამართზე მოცემული ფართები დატვირთულია იპოთეკით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, წერონისის ქ. N208	1008,28

2	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N34 კორპუსი 17	120,00
---	--	--------

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში შპს „ორიენტირს“ (საზოგადოებრივ კოლეჯს), წერონისის №208-ში მდებარე შენობაში საკუთრებაში აქვს 1008.28 კვ.მ. ფართი. საიდანაც სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო ფართი შედგება: აუდიტორიები-288,43 კვ.მ. ლაბორატორიები-141,7 კვ.მ. ბიბლიოთეკა-60,94კვ.მ. პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო ოთახები-31.56 კვ.მ. საკონფერენციო ოთახი-62,01 კვ.მ. და დამხმარე ფართი - 405,02 კვ.მ.-ისგან. გათვლები გაკეთებულია შპს „ორიენტირის“ დირექციის მიერ გაკეთებული შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით.

ამრიგად, მითითებულ მისამართზე სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ფართია-584,64 კვ.მ. ხოლო დამხმარე კი-405,02 კვ.მ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აღნიშნულ მისამართზე მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, არაა საკმარისი დაწესებულების მისიის, მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად. ამიტომ შპს „ორიენტირს“ გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები: შპს „მულტიტესტთან“ (კვების პროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორია. 2011-2012 სასწავლო წლისთვის); შპს „ქ. თბილისის 23-ე პოლიკლინიკა-საოჯახო მედიცინის ცენტრთან“ (ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის სექტემბრამდე); შპს „აფთიაქი #34“-თან (მემორანდუმი ძალაშია 2012 წლის სექტემბრამდე) და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (მემორანდუმი ძალაშია 2011-2012 სასწავლო წელს).

ქ. თბილისში შპს „ორიენტირს“ (საზოგადოებრივი კოლეჯს), ცოტნე დადიანის ქ. №34-ში მე-17 კორპუსში მდებარე შენობაში შპს „დენტასგან“ იჯარით აღებული აქვს 120 კვ.მ. ფართი, ამ ფართში ვიზიტის დროს თავის საქმიანობას ახორციელებდა შპს „დენტა“. აღნიშნული ფართიდან სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე ფართების დადგენა ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზების გამო: დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობის შიდა აზომვითი ნახაზები; შპს „დენტას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებიდან არ ჩანს მის საკუთრებაში არსებული 343 კვ.მ. ფართიდან, რომელი 120 კვ.მ. გადასცა იჯარით შპს „ორიენტირს“; ვიზუალური დათვალიერებისასაც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა გამიჯვნა.

აღნიშნულის გამო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიერ იჯარით აღებული 120 კვ.მ. არაა გათვალისწინებული სასწავლო და დამხმარე ფართის გამოთვლისას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას. საბჭომ დაადგინა 1008 კვ. მ. საერთო ფართის ფლობის კანონიერება.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები ექსპერტთა დასკვნის მიხედვით:

შპს „ორიენტირის“ (საზოგადოებრივი კოლეჯის) სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ბუნებრივი და ელექტრო განათების შესაძლებლობებით, შენობაში არის გათბობა, ყველა ოთახში დგას ბუნებრივ აირზე მომუშავე გამათბობლები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტის“ (საზოგადოებრივ კოლეჯს) აქვს წიგნსაცავი და სამკითხველო ოთახი. სამკითხველო ოთახში დგას რვა მაგიდა და ოცი სკამი. აქვეა სამი კომპიუტერი (მათგან ორი ჩართულია ინტერნეტში) და ერთი ქსეროსი/პრინტერი (კომბაინი). დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. წიგნადი ფონდი მოიცავს 3000 ბეჭდურ ერთეულს და 51 ერთეულ ელექტრონულ CD დისკებს.

წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით და აქვს შპს „ორიენტის“ ბიბლიოთეკის ბეჭედი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან შემოწმდა სილაბუსები (სულ 42), და მათში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდთან შესაბამისობა, რის შედეგადაც ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა შემდეგი ძირითადი ლიტერატურა:

1. პრაქტიკოსი ექთნის მე -5 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „თერაპიული ავადმყოფის მოვლა“, - ა) შ. გუგეშაშვილი შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა ნაწ. II. 1991 წ. ბ) ნ. ტატიშვილი, ი. ტატიშვილი შ.ს.დ. 2001 წ.

2. კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე -5 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა“, - მ. მჭედლიშვილი „სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის საფუძვლები“.

3. ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მე -3 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „ორგანული ქიმია“, - ს. ადამია, ლაბორატორიული სამუშაოები ორგანულ ქიმიაში, თბილისი 1993 წ.

4. ინფორმაციული ტექნოლოგიის მე-3 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „კომპიუტერული ქსელები“, - ადამია, არაბული, ცირამუა - კომპიუტერული ქსელები, ნაწ. I, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009 წ.

5. ბიზნესის მწარმოებლის მე -4 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „მათემატიკა“, - ა) ლ. რუხაძე, ვლ. ბალაბანოვი, ზ. ნაცვლიშვილი, მ. ყურაშვილი - უმაღლესი მათემატიკის კურსი, ნაწ. I. 2006 წ.

ბ) თ. ბექაური, ა. საგინაშვილი - ზოგადი უნარები, 2005 წ.

6) მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „სამედიცინო მასაჟი სპორტსმენებში“, - რ. სვანიშვილი, ზ. კახაბრიშვილი - სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია, თბ. 2010 წ.

7) ბულალტერის მე-3 საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „ელემენტარული მათემატიკა“, - ა) ლ. რუხაძე, ვლ. ბალაბანოვი, ზ. ნაცვლიშვილი, მ. ყურაშვილი - უმაღლესი მათემატიკის კურსი, ნაწ. I. 2006 წ.

ბ) თ. ბექაური, ა. საგინაშვილი - ზოგადი უნარები, 2005 წ.

8) ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის პროგრამა, სასწავლო კურსის პროგრამა - „ბიოტექნოლოგია“, - ა) „справочник для работников лаборатории предприятия малой промышленности“ А.И Патратий. В.П. Фристова 1980.

ბ) Исследование и контроль качества мяса и мясопродуктов (1985).

მასაჟისტის მე-5 საფეხურის პროგრამის სილაბუსში „ფიზიოთერაპიის საფუძვლები“ ლიტერატურა საერთოდ არ არის მითითებული.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ნაწილი არ იყო დაწესებულების ბალანსზე, ბიბლიოთეკის ჟურნალში არ იყო აღრიცხული და ცალკეული პედაგოგების საკუთრებას წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურიდან დაწესებულებაში არ აღმოჩნდა მხოლოდ ნაწილი და სხვა ძირითადი ლიტერატურა ადგილზე იყო.

საბჭომ გამოარკვია, რომ ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული ძირითადი ლიტერატურა უკვე არსებობდა დაწესებულების სარგებლობაში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტირს“ (საზოგადოებრივი კოლეჯი), არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით, საკუთრებაში აქვს 21 კომპიუტერი, ოთხი ქსეროქსი/პრინტერი (კომბაინი), ერთი პროექტორი, ხუთი „კეისი“ (პროცესორი). გადამოწმებისას, ადგილზე აღმოჩნდა 20 კომპიუტერი, 4 პრინტერი/ქსეროქსი (კომბაინი), ორი მონიტორი, ერთი მულტივიდეო პროექტორი. აღნიშნული კომპიუტერებიდან 19 ჩართულია ინტერნეტში.

შპს „ორიენტირში“ მოწყობილია კომპიუტერული კლასი, აღჭურვილი ინტერნეტში ჩართული შესაბამისი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ინფორმაციული კურსების განხორციელებისათვის და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისათვის. დაწესებულების ადმინისტრაციულ კაბინეტებში და საპროფესოროში (სამასწავლებლოში) განთავსებული (ინტერნეტში ჩართული) ინფორმაციული ტექნიკა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ადმინისტრაციული მართვისთვის. აგრეთვე, შპს „ორიენტირის“ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, მოცემულია სკოლის საკონტაქტო e-mail - orientiri@yahoo.com, ხოლო დანარჩენი განკუთვნილია ავტორიზებული მომხმარებლისათვის (თანამშრომლებისთვის და სტუდენტთათვის).

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, თუმცა არ ხდება ფიზიკური პირებისგან შემოსული განცხადებების რეგისტრაცია. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, იმის გამო რომ „საქმის წარმოების ერთიან წესში“ დოკუმენტების დამუშავების წესი, კონკრეტულად არ მიუთითებს შემოსული განცხადების რეგისტრაციას და ინდექსაციას, როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, მიზანშეწონილად არ ჩათვალეს განცხადებების რეესტრში გატარება.

ექსპერტთა ვიზიტის დროს დირექტორის მიერ 2011 წლის 8 აპრილს გამოიცა ბრძანება №12, რომლის მიხედვითაც დადგინდა ყველა შემოსული და გასული დოკუმენტის აღრიცხვის ვალდებულება.

საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტების წარმოება ხარვეზიანია, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამებზე გაკეთებული მითითების მიხედვით, კბილის ტექნიკოსის I, II, III საფეხურის, ექთნის თანაშემწის II, III საფეხურის, მასაჟისტის III საფეხურის, ინფორმაციული ტექნოლოგიის III საფეხურის, ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის, ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის III საფეხურის პროგრამები განხილულ იქნა აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 იანვრის სხდომაზე, ასახულია ოქმში №1 და დამტკიცებული დირექტორის 2011 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით. აკადემიური საბჭოს ოქმებისა და რექტორის ბრძანებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ რეალურად აღნიშნული პროგრამები განხილულ იქნა აკადემიური საბჭოს 2011 წლის 3 თებერვლის სხდომაზე, ასახულია ოქმში № 1 და დამტკიცებულია დირექტორის 2011 წლის 3 თებერვლის №2 ბრძანებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III საფეხურის პროგრამას არ ჰქონდა პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერა.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის IV საფეხურის პროგრამას არ ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფ. ციმაკურიძისა და პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერები.

ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის V საფეხურის პროგრამას არ ჰქონდა პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ასლის დედანთან სისწორის დამოწმების დროს პროგრამის ასლზე დატანილია ხელმოწერა.

ბუღალტერის III საფეხურის პროგრამას არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფ. ციმაკურიძისა და პროფესიული სპეციალიზაციის კოორდინატორის, ქ. კაშიას, ხელმოწერა.

ზეპირ მოსმენაზე, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტების წარმოების ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ხარვეზი გამოწვეული იყო სხვადასხვა პროგრამის განსხვავებულ პერიოდში დამტკიცებით.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით , ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილი არაა შინაგანაწესში. ის რეგულირდება შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2011 წლის 08 აპრილის N13(კ) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო დაფის სახით) განთავსებულია შენობების პირველ სართულზე.

6.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის

გეგმა, შენობიდან ევაკუაციის მექანიზმები რეგულირდება შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2011 წლის 08 აპრილის N13(კ) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით.

6.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტირის“ (საზოგადოებრივ კოლეჯს) აქვს გადაუდებელი პირველადი დახმარების სამდიცინო ოთახი.

6.1.4 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წესრიგი დაიცემა მორიგე მასწავლებლების და თანამშრომლების მიერ. მორიგეობის ცხრილი გამოკრულია დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია ასევე შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2011 წლის 08 აპრილის N13(კ) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტის“ მის საკუთრებაში არსებულ შენობაში ყველა სართულზე ასასვლელ კიბეებზე მოწყობილი აქვს გადმოსაშლელი პანდუსები, მაგრამ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი დამოუკიდებლად ამ პანდუსებით ვერ ისარგებლებს. რაც შეეხება იჯარით აღებულ შენობას, ის განთავსებულია პირველ სართულზე და იქ ამ მხრივ პრობლემები არაა.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტის“ ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები (გახსნა ხდება პაროლის საშუალებით), წესდება, შინაგანაწესი, სტუდენტთა და პერსონალის სახელობითი სიები, საინფორმაციო მონაცემები. ვებგვერდის შექმნის თარიღია 2010 წელი, ვებ სივრცის მომსახურების თაობაზე გაფორმებულია ხელშეკრულება „კავკასუს ონლაინთან“, ინფორმაციის ბოლო განახლების თარიღია 2011 წლის აპრილი.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ორიენტირის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში დადგენილი არ არის პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის პირობები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, კანდიდატების კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა ხდება დიპლომის შემოწმების საფუძველზე, ხოლო გამოცდილების შესაბამისობის დადგენა - შრომის წიგნაკის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირად საქმეებში ინახა დიპლომებისა და შრომის წიგნაკების ასლები.

შრომით ხელშეკრულებებსა და დანიშვნის აქტებში შეინიშნება შემდეგი სახის ხარვეზები:

1. შრომით ხელშეკრულებაში მითითებული არ არის შრომის ანაზღაურების ოდენობა. ხელშეკრულების მიხედვით, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, განაკვეთის მიხედვით. თანამშრომელთა ხელფასის განაკვეთი განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2010 წლის 31 აგვისტოს №19 (თ) ბრძანებით. აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს, რომლის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის

შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლების დანიშვნის ბრძანებებში, შრომით ხელშეკრულებებსა და კადრების აღრიცხვის ფურცლებში მითითებული ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა, კერძოდ:

ა) კარლო მეცხოვრიშვილის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება და კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 29 მარტს.

ბ) რამაზ ბაღდოშვილის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2011 წლის 29 მარტს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 18 თებერვალს.

გ) ალექსანდრე ვადაჭკორიას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2011 წლის 29 მარტს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 30 მარტს.

დ) ზაირა ფაილოძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2011 წლის 29 მარტს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 30 მარტს.

ე) იმედა ლაგვილავას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2011 წლის 29 მარტს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 28 მარტს.

ვ) ნინო ციმაკურიძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 30 მარტს.

ზ) ელიზა სამნიაშვილის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 28 დეკემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 9 თებერვალს.

თ) ტერეზა წულუკიძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 28 დეკემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 1 თებერვალს.

ი) მიხეილ მღებრიშვილის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 10 თებერვალს.

კ) თამთა მიქაძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 28 დეკემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2006 წელს. თვე და რიცხვი მითითებული არ არის.

ლ) დავით დვალაძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2011 წლის 14 თებერვალს.

მ) ფატმან ციმაკურიძის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 1 სექტემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2003 წლის 1 დეკემბერს.

ნ) ნატო შუკაკიას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 1 სექტემბერს, დანიშვნის ბრძანება გამოცემულია 2010 წლის 1 სექტემბერს, ხოლო კადრების აღრიცხვის ფურცელი შედგენილია 2010 წლის 15 სექტემბერს.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, იმის გამო, რომ შპს „ორიენტირის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული კოლეჯის პროგრამების განხორციელებაზე მუშაობას აწარმოებდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამიტომ შესაბამისი შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება მასწავლებლებთან კ. მეცხოვრიშვილთან, რ. ბარდოშვილთან, ა. ვადაჭკორიასთან, ი. ლავგილავასთან, ზ. ფაილოძესთან მოხდა 2010 წლის 1 სექტემბერს. მათი დასაქმების ბრძანება დაიწერა 2011 წლის 29 მარტს იმის შემდეგ, როცა შესაბამისი პროგრამები წარდგენილი იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. საბჭომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ხარვეზები არაარსებითია.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო შპს - „ორიენტირის“ თვითშეფასების კითხვარის, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ იხელმძღვანელა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით. საბჭომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებების შეფასების საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში, რომლის მიხედვითაც, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

სტანდარტთან შეუსაბამობა დგინდება შემდეგი გარემოებების გამო:

1. ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III და V საფეხურისა და ბუღალტრის III, IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებში მისა ნიჭიერი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. საბჭო მიიჩნევს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში პროფესიულ სტანდარტებთან. სტანდარტის მიხედვით, ფრჩხილებში და დახრილი ხაზით დამატებითი მითითებების გაკეთება მიზნად ისახავს საფეხურებს შორის განსხვავების გაკეთებას, ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამ მითითებებს.

საბჭოსთვის მიუღებელია დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შედეგენილი იყო პროფესიული სტანდარტის პროექტის საფუძველზე, რადგან აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდეს სათანადო წესით დამტკიცებული და იურიდიული ძალის მქონე პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

რაც შეეხება დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებას, რომ აღნიშნული ხარვეზები საბჭოს სხდომის დროისათვის უკვე გამოსწორებულია, ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ვერ დაეყრდნობა ამ გარემოებას, რადგან ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, „ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.“

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან. ბუღალტრის III, IV, V საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. ხოლო ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის III, IV, V საფეხურების, მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV, V საფეხურებისა და ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის III, IV, V საფეხურების პროგრამაზე შეიძლება დაიშვას მე-12 კლასის მოსწავლე ან პირი, რომელსაც დაძლეული აქვს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი.

აღნიშნული ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე.“

3. „მასაჟისტის“ III საფეხურის, „ინფორმაციული ტექნოლოგის“ III საფეხურის, „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის“ III საფეხურის, „ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის“ III საფეხურისა და „ფარმაცევტის თანაშემწის“ V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტის პროცენტული წილი ნაკლებია პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან შედარებით.

საბჭომ შეისწავლა დაწესებულების წარმოდგენლების მიერ ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი დოკუმენტი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 1 აპრილის წერილი - რომლის მიხედვითაც, ცენტრს დაწესებულების მიმართ გაცემული აქვს თანხმობა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულ შემდეგ პროგრამების განხორციელებაზე: „მასაჟისტის“ III საფეხური, „ინფორმაციული ტექნოლოგის“ III საფეხური, „ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის“ III საფეხური და „მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის“ III საფეხური.

საბჭო მიიჩნევს, რომ ცენტრის წერილით საბჭო არ არის შეზღუდული, რადგან ცენტრის წერილში საუბარი არ არის პროგრამების შინაარსობრივ შესაბამისობაზე სტანდარტებთან, არამედ ცენტრმა უბრალოდ პროგრამის განხორციელების ფორმალური უფლებამოსილება დაუდასტურა დაწესებულებას. ცენტრი არ იყო კომპეტენტური ემსჯელა პროგრამების შესაბამისობაზე პროფესიულ სტანდარტებთან, რადგან ეს უფლებამოსილება ავტორიზაციის საბჭოს გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარის აზრით ზემოაღნიშნული წერილი სულაც არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მოლოდინს მაძიებლისათვის, პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით, ხოლო საბჭო მუშაობას გააგრძელებდა ჩვეულ რეჟიმში და გადაწყვეტილებას მიიღებდა ექსპერტთა დასკვნის, დაწესებულების ახსნა-განმარტებებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოკვლეული გარემოებების საფუძველზე.

რაც შეეხება, „ფარმაცევტის თანაშემწის“ V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, საბჭოზე გამოირკვა, რომ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, დაწესებულებას ცენტრის მხრიდან არ მიუღია თანხმობა ამ პროგრამის განხორციელებაზე.

ექსპერტთა დასკვნის, დაწესებულების ახსნა-განმარტებებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოკვეთილი გარემოებების საფუძველზე საბჭოსათვის ფაქტობრივ მოცემულობას წარმოადგენს, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, რაც ნიშნავს იმას, რომ დარღვეული ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა.

4. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში და ასევე კურსის სილაბუსებში პროფესიული სტუდენტის საათობრივ დატვირთვაში გათვალისწინებული არ არის „გამოცდების მომზადება-ჩაბარება“, რასაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

5. სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის (ერთი დასახელების პროგრამის ფარგლებში) სილაბუსებში ასახული დაშვების წინაპირობები, მიზნები, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია. საბჭო მიიჩნევს, რომ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.“.

საბჭოსთვის მიუღებელია დაწესებულების წარმომადგენლების განმარტება, რომ პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ზრდა ხდება კრედიტების გაზრდის ხარჯზე, რადგან ზეპირ მოსმენაზე საბჭომ გამოიკვლია აღნიშნული სილაბუსები და დადგინდა, რომ სხვადასხვა საფეხურზე არა მხოლოდ დაშვების წინაპირობები, მიზნები და კურსის შინაარსი, არამედ სწავლის შედეგებიც იდენტურია.

6. საგანმანათლებლო პროგრამებში „სასწავლო პრაქტიკისა“ და/ან „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო საგანს არ აქვს სილაბუსები, ანდა პრაქტიკის სასწავლო გეგმისა და სწავლის შედეგების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტაცია.

ზეპირ მოსმენაზე საბჭომ დაადგინა, რომ პრაქტიკასთან მიმართებით არსებობდა მხოლოდ მემორანდუმები, სადაც ზოგადი ხასითის ნორმები იყო და იქიდან არ დგინდებოდა პრაქტიკულ კომპონენტში პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვის მოცულობა.

საბჭო მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტს, რომლის მიხედვითაც აუცილებელია სასწავლო კურსის სილაბუსების არსებობა.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ორიენტირისათვის საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

მოწინააღმდეგე: 8

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ორიენტირს უარი ეთქვას საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭებაზე.

5. შპს - მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საჭოს თავმჯდომარემ შპს - მახინჯაურის ლიცეუმის წარმომადგენელთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებია.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ლაშა მარგიშვილს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. ლაშა მარგიშვილმა დამსწრე პირებს მოკლედ გააცნო განხორციელებული პროცედურა.

შპს - მახინჯაურის ლიცეუმმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის 7 მარტს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - მახინჯაურის ლიცეუმის წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული კითხვარი, ვინაიდან დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 28 მარტის №14/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: ლელა ქელბაქიანი, ნელი ნასყიდაშვილი და კონსტანტინე ჩოკორაია).

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მან შეისწავლა ცენტრის მიერ გადაგზავნილი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა საშუალება გაცნობოდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივი გარემოებები.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიაზრებს ზოგადი განათლების ინტეგრირებას პროფესიულ განათლებასთან შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ მისიის განაცხადი კი ამის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას არ შეიცავს. ლიცეუმის სასწავლო გეგმა შემუშავებულია ლიცეუმის პედაგოგების მონაწილეობით, აკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს: შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ლიცეუმის სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვასა და განახლებას.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლიცეუმის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების III საფეხურის შესაბამისი მოთხოვნები: შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად, შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები იმისათვის, რომ მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში). მასში ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ეროვნული სასწავლო გეგმით ნებადართული 25%-იანი მონაცვლეობა საათობრივ ბადეში შემდეგნაირადაა ასახული :

X კლასი: სპორტის 1 საათი და სამოქალაქო განათლების 1 საათი ჩანაცვლებულია ინგლისური ენის სწავლებით და იგი შეადგენს კვირეულ 5 საათს.

XI კლასი: ეკონომიკის 2 საათიანი კურსი ჩანაცვლებული იქნა 1 საათიანი არჩევითი საგნით და 1 საათი დამატებითი ინგლისური ენის სწავლებით.

XII კლასის საათობრივ ზადეში არ არის ასახული აბიტურის საათები. გაზრდილია ინგლისური ენის საათები სპორტისა და არჩევითი საგნის – გლობალური გეოგრაფიის ხარჯზე.

დამატებითი მუშაობა აღსაზრდელებთან მოიაზრებს არაქართულენოვან მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას, რომელიც მეცადინეობებზე დასწრების ჟურნალშია აღრიცხული.

არსებობს ინდივიდუალური სწავლა/სწავლების პრაქტიკა, რომელიც მოიაზრებს სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას, გაკვეთილების შემდეგ (რაც დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრებით).

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური, კომპეტენტური კომისიის დადგენილებით, მოსწავლეთა პირადი მონაცემების (ჯანმრთელობის ცნობის ფორმა №100) შემოწმების საფუძველზე დაადგინა, რომ სსსმ მოსწავლე 2010 – 2011 სასწავლო წელს ლიცეუმში არ ირიცხება. მიუხედავად ამისა, ლიცეუმის სასწავლო ფიზიკურ გარემოში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთათვის გადაადგილების ხელშემწყობი პირობები (შენობის შესასვლელებში, კიბის უჯრედებში).

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ ლიცეუმის მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემასთან. დასკვნის თანახმად, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ, ხოლო მათემატიკასა და ქიმიაში აგრეთვე მოსწავლეების ჩართულობით. ასევე კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერი განსაზღვრულია 5.1 ქულით. საშუალო საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი განსაზღვრულია 5.1 ქულით. გათვალისწინებულია მოსწავლის მიერ გაცდენილი საათების ანაზღაურების მექანიზმი: მათთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება. ასევე დადგენილია გამოცდის ტიპები და მათი ჩატარების ვადები

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნაში ნათქვამია, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების მიზნით ლიცეუმს თითოეულ მოსწავლეზე შემოღებული აქვს სარეიტინგო ფურცელი, რომელიც ივსება ყოველი კვირის ბოლოს (სარეიტინგო ელექტრონული ვერსიის ადგილზე დათვალიერება, გასაუბრება მონიტორინგის სამსახურის უფროსთან: ელდარ მსხალაძესთან). პარასკევი დღე გამოცხადებულია მშობლებთან შეხვედრის დღედ (გასაუბრება მშობლებთან და პედაგოგებთან). მშობელთა ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინარულ გადაცდომებზე ხდება კვირაში ერთხელ ლიცეუმის მონიტორინგის სამსახურის მიერ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სასწავლო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და კორექტირებების მიზნით ლიცეუმში იკრიბება მოსწავლეთა აკადემიური მოსწერების, ნაშრომების, გამოკითხვის შედეგების ამსახველი მონაცემები, მოსწავლეთა პორტფოლიოები, კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარი უკმაყოფილება, შენიშვნები, პრეტენზიები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით თავისუფლად გამოხატონ ლიცეუმის ხელმძღვანელობასთან. ლიცეუმში დანერგილია მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ყოველდღიური გეგმების აღრიცხვის და მასწავლებელთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ასევე მასწავლებელთა მუშაობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, კათედრებს შორის თანამშრომლობა.

ლიცეუმში სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის ინდიკატორებია: სადამრიგებლო პროგრამა, კლასის დამრიგებლის სემესტრული და წლიური ანგარიში, აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვა, დამრიგებლის პორტფოლიოები, ფსიქოლოგის მუშაობის აღრიცხვა.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ლიცეუმის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის შემცველი დოკუმენტაციის შექმნა, მოსწავლეთა გამოკითხვები ანონიმური ფორმით, კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის სტატისტიკური მონაცემები, სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება, კლასის დამრიგებლების სამუშაო ჟურნალების წარმოება.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან მისი კუთვნილი შენობის ნაწილის იჯარის წესით გადაცემაზე. ამდენად ლიცეუმში ფლობს ოთხსართულიანი კორპუსის 1, 2 და 3 სართულებს საერთო ფართობით 819.45 კვ.მ. (მათ შორის აივნები 73.2 კვ.მ), ასევე ხელშეკრულების საფუძველზე იყენებს უნივერსიტეტის კუთვნილ სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას და გემს „ელიტა“, რომელზედაც მოსწავლეები გადიან სასწავლო პრაქტიკას (საზაფხულო სესია).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ბათუმი, მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი № 26	819.45

საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ფიქსირდება საერთო ფართი 800 კვ.მ.-ს ოდენობით.

დაწესებულებას სასკოლო განათლების პარალელურად სურვილი აქვს, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც, შესაბამისად სკოლის სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება მე-2 სართულის ნაწილი და მე-3 სართული მთლიანად, სულ 418.1 კვ.მ, მათ შორის სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით აღჭურვილი 8 საკლასო ოთახი სულ სკოლის სასწავლო ფართი - 311.3 კვ.მ. ლიცეუმს ასევე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე აქვს სპორტული მოედნითა და დარბაზით სარგებლობის უფლება.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას გააჩნია: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა; 6 სველი წერტილი; ბუნებრივი განათების მაქსიმალური შესაძლებლობა; ცენტრალური გათბობა საკუთარი საქვაბე სისტემით (Erensan – type: NA.R 320, Feroli – appr.No GN1 N04).

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის თანახმად, ლიცეუმს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან მისი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ, აღნიშნული ბიბლიოთეკის გადამოწმებით დადგინდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი წიგნები დაცულია ბიბლიოთეკის ფონდში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 სასწავლებლის შენობას გააჩნია პანდუსი ცენტრალურ შესასვლელ კიბეებზე. შენობის შიგნით, ყველა კიბეზე დამაგრებულია სპეციალური ხის კონსტრუქცია, რომელიც ხელს უწყობს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა გადაადგილებას სართულებზე.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასწავლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულებას აქვს სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, 46 კომპიუტერი, ლიცეუმს ასევე გააჩნია: შიდა ქსელი, მოსწავლეთა რეგისტრაციისა და აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ჟურნალი, აკადემიური წარმატებებისა და დისციპლინარული გადაცდომების ყოველკვირეული sms-შეტყობინების სისტემა.

ლიცეუმს დამოუკიდებელი ვებგვერდი არა აქვს, იგი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბმულია.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - მახინჯაურის ლიცეუმი არსებობს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან. დაწესებულება ძირითადად განხორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ სამომავლოდ თავიანთი საქმიანობა დაუკავშირონ საზღვაო განათლებას. ამიტომ შპს - მახინჯაურის ლიცეუმს არ ჰქონდა დამოუკიდებელი ვებგვერდი და იგი ბმულით იყო დაკავშირებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდთან.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად ასრულებდა შპს - მახინჯაურის ლიცეუმის ბმული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფუნქციებს დაწესებულების ბმული ასრულებდა. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ღოდელიანმა საბჭოს მოახსენა, რომ შპს - მახინჯაურის ლიცეუმის ბმული იყო საკმაოდ სრულყოფილი და იგი ნამდვილად ასრულებდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციებს.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ლიცეუმის ტერიტორია დაცვის სამსახურის ყურადღების ქვეშაა. დისციპლინარული გადაცდენებზე ოპერატიულად რეაგირებისათვის დერეფნებსა და თავშეყრის ადგილებში დამონტაჟებულია ვიდეოთვალეები. სართულების დერეფნებში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, ასევე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ლიცეუმის ადმინისტრაციასთან აქტიურად და პროდუქტიულად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დამრიგებელთა კათედრა.

ლიცეუმს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან, რომლის სამედიცინო პუნქტი და ექთანი საჭიროების შემთხვევაში მოემსახურებიან ლიცეუმის მოსწავლეებს.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

7.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლიცეუმს აქვს წესდება და შინაგანაწესი, ასევე სხვადასხვა დებულებები.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

8.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ლიცეუმს აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები, მაგრამ მათი შინაარსი ასევე არ ითვალისწინებს პროფესიული განათლების პროგრამების განვითარებას.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

9.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ ლიცეუმში არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კანცელარიაში იწარმოება:

1. შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ დირექტორის ბრძანების წიგნი - 4ც;
2. შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნი; ჟურნალი;
3. გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნი და ჟურნალი;
4. ატესტატის გაცემის ჟურნალი;
5. ცნობების გაცემის ჟურნალი;
6. სერტიფიკატების გაცემის ჟურნალი;
7. ანბანური წიგნი;
8. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სააღრიცხვო წიგნი;
9. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ჟურნალი.

წიგნები წარმოადგენენ სტანდარტულ საკანცელარიო ბრძანების წიგნებს, არის ზონარგაყრილი, დანომრილი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

ბრძანებების წიგნებს ერთვის რეგისტრაციის ჟურნალები.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის მიხედვით, ლიცეუმში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების წასაკითხად მუშაობს 29 მასწავლებელი, გარდა ამისა ლიცეუმში დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად მუშაობს ადმინისტრაციის 9 თანამშრომელი, 4 ტექნიკური დარგის მუშაკი. ლიცეუმში თანამშრომლების უფლება-მოვალეობები, ასევე სამსახურში მიღების წესები რეგულირდება შინაგანაწესით. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლების შერჩევისათვის კონკურსი ჩატარებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის აგვისტოში დამტკიცებულ ლიცეუმის შინაგანაწესში პედაგოგების შერჩევისათვის გათვალისწინებულია კონკურსის ჩატარება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლიცეუმის მასწავლებლები წლების მანძილზე მუშაობენ ამ დაწესებულებაში და არსებობს მათი ძველი დანიშვნის ბრძანებები, მასწავლებლები აკმაყოფილებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების წარმომადგენლისაგან ჰყავდა თუ არა დაწესებულებას 2010 წლის აგვისტოს შემდგომ ახალი პედაგოგები მიღებული. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით შპს - მახინჯაურის ლიცეუმის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2010 წლის აგვისტოს შემდეგ მათ ახალი პედაგოგების მიღება არ განუხორციელებიათ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო ლიცეუმის შინაგანაწესში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის ყველა სხვა თანამშრომელთან.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 დასკვნის თანახმად, ლიცეუმს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ფონდ „განათლების ინსტიტუტთან“, რომლის თანახმადაც დაწესებულების მასწავლებლები ადგილზე გადამზადდნენ საგნობრივი პროგრამების სწავლების მეთოდიკასა და ტექნოლოგიებში, ასევე ასაკობრივი განვითარებისა და სწავლების თეორიებში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.“

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და წესრიგის კონტროლის მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოთვალეები, ასევე ლიცეუმის ადმინისტრაციას განათლების სამინისტროს მიმართ გაგზავნილი აქვს შუამდგომლობა დაწესებულებაში მანდატურების შეყვანის თაობაზე.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან ავტორიზაციის მაძიებელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მომხსენებელმა ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილია, განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული ი განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტები ს რაოდენობა
1	გემის ელექტრიკოსი	III	გემის ელექტრიკოსი	60
2	გემის მზარეული	III	გემის მზარეული	60
3	ელექტროაირშემდუღებელი	III	ელექტროაირშემდუღებელი	60
4	გემბანის მეზღვაური	III	გემბანის მეზღვაური	60
5	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	III	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	60

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლიცეუმი მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ამჟამად სთავაზობს სახელობო პროფესიულ განათლებას, მაგრამ სურვილი აქვს განახორციელოს 1-2-3 საფეხურის დამოუკიდებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც, რათა საკუთარ მოსწავლეებს სრული ზოგადი განათლების ატესტატის პარალელურად დამატებით მისცენ პროფესიული დიპლომის მოპოვების საშუალება, თუმცა ამის შესახებ არაფერია ნათქვამი არც დაწესებულების მისიაში და არც წესდებაში.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რატომ არ ჰქონდათ აღნიშნული წესდებაში და მისიაში ის ფაქტი, რომ დაწესებულება აპირებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებლ მისიაში და წესდებაში არ იყო ინფორმაცია იმის შესახებ რომ დაწესებულება აპირებდა პროფესიული პროგრამების განხორციელებასაც.

I. დაწესებულებ ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის მითითებული დამტკიცების თარიღი და დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანო, თუმცა პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების დებულების მიხედვით ჩანს, რომ პროგრამის დამტკიცების უფლება აქვს პედაგოგიურ საბჭოს.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებაში მყოფ ავტორიზაციის ექსპერტს, ვიზიტის დროს ხომ არ ჰქონდა ნანახი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ. ექსპერტმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მათ აღნიშნული დოკუმენტაცია ნანახი არ ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ პროფესიული პროგრამებში შევიდა ცვლილებები და ამის გამო საჭირო გახდა პედაგოგიურ საბჭოზე მათი ხელახალი დამტკიცება.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მათი დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა პედაგოგიური საბჭოს ოქმი, რომლითაც განხილული და დამტკიცებული იყო არა პროფესიული პროგრამები, არამედ ლიცეუმის სასწავლო გეგმები. შესაბამისად ექსპერტთა ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პედაგოგიური საბჭოს მიერ არ იყო დამტკიცებული.

1.1.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - გემის ელექტრიკოსი, მისანიჭებელ კვალიფიკაციად ითვალისწინებს - გემის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“, სადაც აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ პირს ენიჭება ელექტრიკოსის კვალიფიკაცია. ასევე, აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტანდარტითაც პირს ენიჭება - ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

1.1.3 დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - გემის მზარეული, მისანიჭებელ კვალიფიკაციად ითვალისწინებს - გემის მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“, სადაც აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ პირს ენიჭება მზარეულის კვალიფიკაცია. აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტანდარტითაც პირს ენიჭება - მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრი ლალი ღოდელიანი დაინტერესდა, ხომ არ ანიჭებდა დაწესებულებას კვალიფიკაციებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლისაგან მიიღო დადებითი პასუხი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა ექსპერტთა მიერ დადგენილ შენიშვნებს და მომავალში აუცილებლად გამოასწორებდნენ მათ.

1.1.4 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტროაირშემდუღებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მისანიჭებელ კვალიფიკაციად ითვალისწინებს - ელექტროაირშემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“, სადაც აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ პირს ენიჭება შემდუღებლის კვალიფიკაცია. აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტანდარტითაც პირს ენიჭება - ა) შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია; ბ) შემდუღებლის (აირალოვანი) მესამე საფეხურის

პროფესიული კვალიფიკაცია; გ) შემდუღებლის (პლასტმასების) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

1.1.5 დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (გემის ელექტრიკოსი, გემბანის მეზღვაური, ელექტროაირშემდუღებელი, გემის მზარეული, სამანქანო განყოფილების მეზღვაური) არის პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ მეოთხე საფეხურის დიპლომის მქონე მასწავლებელს უფლება არა აქვს მეხუთე საფეხურზე ასწავლოს. ექსპერტთა ზრით, აღნიშნული ჩანაწერი პროფესიული კოლეჯისთვის არის ზედმეტი პირობა.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნა იყო არაარსებითი, რადგან აღნიშნული პირობის არსებობა ან არარსებობა პროგრამაში რეალურად არაფერს ცვლიდა. თუმცა, საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ჯობდა მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამებში ეს პირობა არ ყოფილიყო მოცემული, რასაც ასევე დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეც.

1.1.6 დასკვნაში აღნიშნულია, რომ არცერთი პროგრამით არ არის გათვალისწინებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსის სწავლება, მაშინ როდესაც თითქმის ყველა პროგრამის შედეგებში გაწერილია მათი გამოყენების უნარი.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან დღესდღეობით თითქმის ყველა ახალგაზრდამ იცის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, მათ მიიჩნეს, რომ საჭირო აღარ იყო აღნიშნული კურსის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სრულიად იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ შენიშვნას.

1.1.7 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, გაურკვეველია რა მონაცემებს ეყრდნობა პროგრამების შედეგების რუკები, ვინაიდან სილაბუსებში სწავლის შედეგები არ არის გაწერილი პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით.

1.1.8 დასკვნის თანახმად, უცნაურია საწარმოო პრაქტიკისათვის სწავლების ფორმად ლექციის გამოყენება, ასევე დამოუკიდებელი მუშაობისათვის საათების (მთელი დროის 50%-ზე მეტი) განსაზღვრაც.

ზეპირ მოსმენაზე ექსპერტმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტი მოიცავდა დამოუკიდებელ მუშაობის საათებსაც. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.1.9 დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისურის სილაბუსებში ტესტირება მოცემული იყო, როგორც სწავლების მეთოდი.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხუთივე პროგრამას ეხებოდა თუ არა აღნიშნული ხარვეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ძირითადად 3 პროგრამას (გემის ელექტრიკოსი, გემის მზარეული და ელექტროაირშემდუღებელი) ეხებოდა ექსპერტთა შენიშვნები, რომლებსაც იგი სრულიად იზიარებდა.

1.1.10. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სხვადასხვა პროგრამაში სხვადასხვა რაოდენობის კრედიტებითაა წარმოდგენილი საგანი „სიცოცხლისუნარიანობა, უსაფრთხოების ტექნიკა“, რომელთა სილაბუსები ერთნაირია. მაგალითად: სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროგრამაში სიცოცხლისუნარიანობასა და უსაფრთხოების ტექნიკას დათმობილი აქვს - 2 კრედიტი, გემის მზარეულის პროგრამაში - 3 კრედიტი, გემზანის მეზღვაურის პროგრამაში კი - 1.5.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს წევრები დაინტერესდნენ წარმოდგენილი საგნის სასწავლო საათების რაოდენობაც თუ ემთხვეოდა ერთმანეთს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სიცოცხლისუნარიანობისა და უსაფრთხოების ტექნიკის საგნის სილაბუსები იყო იდენტური.

1.1.11 დასკვნის მიხედვით, მზარეულის მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით უნდა მოიცავდეს მინიმუმ 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 60% უნდა ეთმობოდეს პრაქტიკას. ლიცეუმის მიერ მომზადებული მზარეულის მე-3 საფეხურის პროგრამა ასევე არის 60 კრედიტიანი, ოღონდ პრაქტიკას ეთმობა 30 კრედიტი ანუ 50%. ასევე სასწავლო საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიზნებში საერთოდ არაფერია ნახსენები კულინალიურ მიმართულებაზე, ხოლო შინაარსის მხოლოდ მე-9 პარაგრაფი ითვალისწინებს კვების ტექნოლოგიების სწავლებას.

1.1.12 მომხსენებელმა ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მოცემული, იყო შემდეგი შენიშვნა - სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მე-3 საფეხურის და გემზანის მეზღვაურის მე-3 საფეხურის პროგრამებში საწარმოო და საცურაო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული იყო 36 კრედიტი, მაშინ როდესაც აღნიშნული პროგრამის სილაბუსებში საწარმოო და საცურაო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული იყო 16 კრედიტი.

ზეპირ მოსმენაზე მოცემულ შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო პრაქტიკის ხელმძღვანელის შეცდომა, რომელიც დაწესებულების მიერ არ იქნა გადამოწმებული.

1.1.13 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ წარმოდგენილი პროგრამების არცერთ სილაბუსში არ არის მოცემული სასწავლო გეგმა, თემების გაშლა

აქტივობებისა და საათების მიეხედვით, ასევე არ არის მითითებული, რომელი საგანი რომელ სემესტრში იკითხება.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ერჩივნათ, რომ წარმოდგენილი ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაესწორებინათ და ხელმეორედ წარმოედგინათ საბჭოსთვის, რადგან ხარვეზების რაოდენობა იყო საკმაოდ ბევრი და, შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, საეჭვო იყო, რომ საბჭოს დაწესებულებისთვის მიეცა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო კენჭისყრის გზით.

დაწესებულების წარმომადგენელი მთლიანად დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იქნებოდა, არსებობდა თუ არა შენიშვნები 2 პროგრამასთან (გემბანის მეზღვაური და სამანქანე განყოფილების მეზღვაური) დაკავშირებით.

საბჭომ მამიებლის თხოვნის შესაბამისად, გააგრძელა დანარჩენ 2 პროგრამასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების კუთხით გემბანის მეზღვაურისა და სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროგრამებთან დაკავშირებით შენიშვნები არ იყო.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 დასკვნის თანახმად, ლიცეუმს აქვს ამობეჭდილი დოკუმენტი (არასტამბური) - პროგრამათა კატალოგი, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს”.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამებიან გემბანის მეზღვაურის, სამანქანე განყოფილების მეზღვაურის, ელექტრიკოსის, მზარეულის, შემდუღებლის დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს, თუმცა ბოლო სამ კვალიფიკაციას დაწესებულება ანიჭებს კვალიფიკაციათა ჩარჩოსგან განსხვავებით (გემის ელექტრიკოსი, გემის მზარეული, ელექტროაირშემდუღებელი).

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები”.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულების მე-3 მუხლისა და მათ მიერ შედგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 1-3 საფეხურზე შეიძლება პირი ჩაირიცხოს, თუ კი მას დამღეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სტანდარტების მიხედვით მზარეულის, ელექტრიკოსის, შემდუღებლის კვალიფიკაციები ითვალისწინებენ მეორე საფეხურის კვალიფიკაციის არსებობასაც. შესაბამისად მე-3 საფეხურზე მიღების წინაპირობებში ასევე უნდა მოითხოვებოდეს მე-2 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომი.

ლიცეუმში პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები გაწერილია პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტში.

ლიცეუმის პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესის შესახებ ჩანაწერი არ ფიქსირდება.

სტუდენტთა მობილობის შესახებ პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულებაში გაწერილია სხვა დაწესებულებიდან სტუდენტთა გადმოსვლისას წარმოსადგენი საბუთების ნუსხა.

პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულებაში ასევე არაფერი არ წერია სტუდენტთა მიღებული განათლების აღიარების წესების შესახებ.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენიშვნა, რომელიც ეხებოდა წინაპირობების არსებობას მართებული იყო გემის ელექტრიკოსის, გემის მზარეულისა და ელექტროაირშემდუღებელის პროგრამებთან დაკავშირებით. გემზანის მეზღვაურისა და სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული პროგრამები კი ითვალისწინებენ პირდაპირ მესამე საფეხურზე მიღებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულებაში მათ შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები, რომლის თანახმადაც დებულებით განისაზღვრა სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის განხორციელდა ცვლილება დებულებაში. მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შეტანილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულების მე-4 მუხლის 17-ე პუნქტის თანახმად, III საფეხურის სტუდენტს აქვს საშუალება, შეიცვალოს სპეციალობა განსხვავებული კრედიტების ანაზღაურების გზით, ვინაიდან III საფეხურის პროფესიული პროგრამები შეესაბამებიან როგორც მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების, ისე საერთაშორისო საზღვაო მომზადების მოთხოვნებს.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, შევსებულ კითხვარში ამ პუნქტის პასუხად მოცემულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის აღწერა. თუმცა პროფესიული განათლების პროგრამათა განხორციელების დებულების 3.1 მუხლში მოცემულია ტერმინები და განსაზღვრებები. ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში წერია, რომ პროგრამებს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განიხილავს ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვიზიტის დროს ასევე წარმოდგენილ იქნა პედაგოგის სხდომის ოქმი, სადაც დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები, თუმცა ჯერ პროფესიული პროგრამების განხორციელება არ დაწყებულია და არც შესაბამისი შეფასებები გაკეთებული.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან მისი კუთვნილი შენობის ნაწილის იჯარის წესით გადაცემაზე. ამდენად ლიცეუმში ფლობს ოთხსართულიანი კორპუსის 1, 2 და 3 სართულებს საერთო ფართობით 819.45 კვ.მ. მათ შორის აივნები 73.2 კვ.მ), ასევე ხელშეკრულების საფუძველზე იყენებს უნივერსიტეტის კუთვნილ სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას და გემს „ელიტა“, რომელზედაც მოსწავლეები გადიან სასწავლო პრაქტიკას (საზაფხულო სესია).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ბათუმი, მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი № 26	819.45

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად განზრახული აქვს მთლიანად პირველი სართულის და მე-2 სართულის ნაწილის გამოყენება, საერთო ფართი - 401.35 კვ.მ, მათ შორის სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით აღჭურვილი 5 საკლასო ოთახი, 1 სასწავლო ლაბორატორია, სულ სასწავლო ფართი - 238.5 კვ.მ.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.“

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას აქვს:

1. ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
2. 6 სველი წერტილი;
3. ბუნებრივი განათების მაქსიმალური შესაძლებლობა;
4. ცენტრალური გათბობა საკუთარი საქვამბე სისტემით (Erensan – type: NA.R 320, Feroli – appr.No GN1 N04).

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.“

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ლიცეუმს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან მისი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ, აღნიშნული ბიბლიოთეკის გადამოწმებით დადგინდა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა დაცულია ბიბლიოთეკის ფონდში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულებას აქვს სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, 46 კომპიუტერი, ლიცეუმს ასევე გააჩნია: შიდა ქსელი, მოსწავლეთა რეგისტრაციისა და აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ჟურნალი, აკადემიური წარმატებებისა და დისციპლინარული გადაცდომების ყოველკვირეული sms-შეტყობინების სისტემა.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ლიცეუმში არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კანცელარიაში იწარმოება:

1. შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ დირექტორის ბრძანების წიგნი - 4ც;
2. შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნი; ჟურნალი;
3. გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნი და ჟურნალი;
4. ატესტატის გაცემის ჟურნალი;
5. ცნობების გაცემის ჟურნალი;
6. სერტიფიკატების გაცემის ჟურნალი;
7. ანბანური წიგნი;

8. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საადრიცხო წიგნი;
9. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ჟურნალი.

წიგნები წარმოადგენენ სტანდარტულ საკანცელარიო ბრძანების წიგნებს, არის ზონარგაყრილი, დანომრილი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

ბრძანებების წიგნებს ერთვის რეგისტრაციის ჟურნალები.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლიცეუმის ტერიტორია დაცვის სამსახურის ყურადღების ქვეშაა. დისციპლინარული გადაცდენებზე ოპერატიულად რეაგირებისათვის დერეფნებსა და თავშეყრის ადგილებში დამონტაჟებულია ვიდეოთვალები. სართულების დერეფნებში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, ასევე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ლიცეუმის ადმინისტრაციასთან აქტიურად და პროდუქტიულად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დამრიგებელთა კათედრა.

ლიცეუმს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან, რომლის სამედიცინო პუნქტი და ექთანი საჭიროების შემთხვევაში მოემსახურებიან ლიცეუმის მოსწავლეებს.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული

გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის”.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

7.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასწავლებლის შენობას გააჩნია პანდუსი ცენტრალურ შესასვლელ კიბეებზე. შენობის შიგნით, ყველა კიბეზე დამაგრებულია სპეციალური ხის კონსტრუქცია, რომელიც ხელს უწყობს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა გადაადგილებას სართულებზე.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი”.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

8.1.1 ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა და მისია, თუმცა არ დევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია და პროფესიული სტუდენტებისთვის არ არის სიახლეების გვერდი, შესაბამისად ინფორმაციის განთავსება რეგულარულად არ ხდება. ლიცეუმს დამოუკიდებელი ვებგვერდი არა აქვს, იგი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბმულია.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს”.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

9.1.1 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ ლიცეუმს აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები, მაგრამ მათი შინაარსი არ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განვითარების 6 წლიანი გეგმა შეადგინეს 2009 წელს და ვერ მოხერხდა მასში სათანადო ცვლილების შეტანა. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი გეგმის შინაარსი არ ითვალისწინებდა პროფესიული განათლების პროგრამების განვითარებას. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, დაწესებულების მხრიდან განვითარების 6 წლიან გეგმაშიც სათანადო ცვლილებების შეტანა განსაკუთრებულ სირთულეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 დასკვნის მიხედვით, ლიცეუმში დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად მუშაობს ადმინისტრაციის 9 თანამშრომელი, ტექნიკური დარგის 4 მუშაკი. ლიცეუმში თანამშრომლების უფლება-მოვალეობები, ასევე სამსახურში მიღების წესები რეგულირდება შინაგანაწესით. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ლიცეუმში პროფესიული პროგრამების განხორციელებას ემსახურება 18 მასწავლებელი, რომელთაგან 17 წასაკითხი საგნების

შესაბამის კვალიფიკაციას ფლობენ, ხოლო ერთი - მესხიძე ლიანა ასწავლის კვების მომზადების ტექნოლოგიას და თან არის მზარეულის პროგრამის ხელმძღვანელი, მაგრამ მის პირად საქმეში დევს მხოლოდ ინგლისური ენის მასწავლებლის დიპლომი.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დასკვნაში მოცემულ პიროვნებას შესაბამისი კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების ხელმძღვანელმა არ გადაამოწმა მესხიძე ლიანას კვალიფიკაცია შეესაბამებოდა თუ არა კვების ტექნოლოგიისა და მზარეულის პროგრამებს. მან ასევე დაამატა, რომ აღნიშნულ პიროვნებას ჰქონდა რესტორანში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება, თუმცა ცნობა ამის შესახებ მის პირად საქმეში არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ მესხიძე ლიანას ჰქონდა სათანადო კვალიფიკაცია, რათა ესწავლებინა კვების მომზადების ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ასეთი დოკუმენტი არ ჰქონდათ წარმოდგენილი.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლების შერჩევისათვის კონკურსი ჩატარებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ლიცეუმის შინაგანაწესში პედაგოგების შერჩევისათვის გათვალისწინებულია კონკურსის ჩატარება, თუმცა მასწავლებლები აკმაყოფილებენ კანონმდებლობისა და ლიცეუმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ხელშეკრულებები გაფორმებულია დადგენილი წესით.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკურსი ჩატარდებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მახინჯაურის ლიცეუმისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მახინჯაურის ლიცეუმისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

1. შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.
2. შპს - მახინჯაურის ლიცეუმს უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

6. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის ბექა ძამაშვილის ინფორმაცია შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვასთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს შეახსენა, რომ შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნა უნდა განხილულიყო ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 25 იანვრის სხდომაზე. სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ დააკმაყოფილა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, ხარვეზების გამოსწორების მიზნით, თვითშეფასებისა და ექსპერტების დასკვნის განხილვის 2011 წლის 4 აპრილამდე გადადების თაობაზე. 2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს აღნიშნული დოკუმენტები არ ჰქონდა მიღებული. დაწესებულებამ ხარვეზების გამოსწორების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტაცია საბჭოს მოცემულ სხდომაზე წარუდგინა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სასურველი იყო, მომხდარიყო საკითხის განხილვის ხელახლა გადადება, ვინაიდან საბჭოს მხრიდან შეუძლებელი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის, მათ შორის, დაწესებულების მიერ გამოსწორებული და საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძვლიანი შემოწმება და სათანადო გადაწყვეტილების მიღება. კენჭისყრის შედეგად საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის საკითხის განხილვის გადადების შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები დაიმატა ექსპერტთა ვიზიტის დროს. მოქმედი კანონმდებლობით პროგრამის დამატება შესაძლებელია ავტორიზაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენისას. თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის დროს შპს - ევროპულ საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს არ მოუხდენია პროგრამების დამატება. ექსპერტთა ვიზიტი კი

განხორციელდა დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან გადამოწმების მიზნით, ეს არ იყო საავტორიზაციო ვიზიტი და, შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილი არ იყო, დაემატებინა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

ცენტრის წარმომადგენელმა აგრეთვე განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაწესებულება ახორციელებს მხოლოდ პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამას, ამიტომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პროგრამების დამატებამდე შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა მხოლოდ პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა.

II. ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოარკვია, რომ დაწესებულების გადამოწმების მიზეზი გახდა დაწესებულების სახისა და სახელწოდების შეუსაბამობა განხორციელებულ პროგრამებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამას და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელება არ მიმდინარეობდა. ამდენად დადგინდა, რომ დაწესებულების სახელწოდებაში „სასწავლო უნივერსიტეტის“ მითითება იყო შეცდომაში შემყვანი, რადგან დაწესებულება არ ახორციელებდა სამაგისტრო პროგრამას. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „33“ პუნქტის თანახმად, სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

საბჭომ ზეპირ მოსმენაზე გამოარკვია აგრეთვე, რომ დაწესებულების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა არ იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამო. დაწესებულება უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა მხოლოდ უმაღლესი პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები. საბჭოს თავმჯდომარემ

დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა საგანმანათლებლო პროგრამების დამატების სამართლებრივი მექანიზმები.

III. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

IV. გადაწყვეტილება

კენჭისყრის შედეგად საბჭომ გადაწყვიტა, რომ შეწყდეს შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული წარმოება.

7. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხი

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ განუცხადებიათ.

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილეს - რევაზ ხოფერიას, საკითხთან დაკავშირებით სთხოვა მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს შეახსენა ინფორმაცია განხორციელებული პროცედურების შესახებ.

შპს - საზოგადოებრივმა კოლეჯმა - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიამ, 2011 წლის პირველ მარტს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (ცენტრში რეგისტრაციის №03-1533), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 4 მარტის №11/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მამიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: ეკატერინე ბალიშვილი, მარიამ დარბაიძე და ელენე გვენცაძე). შემოწმდა ავტორიზაციის მამიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხი განხილული იქნა 2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე, რა დროსაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და ასევე ცენტრის მიერ გამოვლენილი ხარვეზები. სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ სთხოვა ცენტრს, რომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისთვის განმეორებით გადაემოწმებინა დაწესებულება და შესაბამისი მოხსენება წარედგინა 2011 წლის 5 მაისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ცენტრმა განხორციელა აღნიშნული პროცედურა და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა დასკვნა.

მომხსენებელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ცენტრმა დაწესებულებაში მყოფ ავტორიზაციის ექსპერტ მარიამ დარბაიძეს სთხოვა ახსნა-განმარტების გაკეთება იმის შესახებ, თუ რითი იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნა და ზეპირი მოხსენება შეიცავდა გარკვეულ წინააღმდეგობებს. მარიამ დარბაიძემ წერილობით განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის მიერ შინაარსობრივად არ ყოფილა გამოსწორებული.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში მყოფი ავტორიზაციის ექსპერტები: ეკატერინე ბალიშვილი (თავმჯდომარე), ელენე გვენცაძე (წევრი) და მარიამ დარბაიძე (წევრი). შესაბამისად, რევაზ ხოფერიას განმარტებით, საბჭოს წევრებს შეეძლოთ, თავად დაესვათ კითხვები ექსპერტებისთვის და გამოერკვიათ იყო თუ არა საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებული ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ ხოფერიას სთხოვა, შეეხსენებინა საბჭოს წევრებისთვის, თუ კონკრეტულად დასკვნის რა ნაწილის გადამოწმება უნდა განეხორციელებინა ცენტრს განმეორებით. მომხსენებელმა განმარტა, რომ ცენტრს საბჭოს თხოვნით განმეორებით უნდა გადაემოწმებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსები, ის საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მიზნები იყო იდენტური და ასევე გადამოწმებული უნდა ყოფილიყო, ის ფაქტი, თუ რამდენად აქვს დაწესებულებას ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე უნდა გადამოწმებულიყო ავტორიზაციის ექსპერტის განმარტების სისწორე იმის შესახებ, იყო თუ არა ნამდვილად გამოსწორებული ხარვეზები ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში განმეორებითი გადამოწმებისთვის ვინ იყო მივლინებული. რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ განხორციელებულა ავტორიზაციის ექსპერტთა მივლინება. იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების

აკადემიაში 13 აპრილს იმყოფებოდა ცენტრის ორი თანამშრომელი - კონსტანტინე ჩოკორაია და ბექა ძამაშვილი. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმებას, ამასთან დაკავშირებით რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა შესწავლაც შემდგომ განხორციელდა.

რევაზ ხოფერიამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ 2011 წლის 11 აპრილის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პანდუსები დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული, თუმცა წარმოდგენილი იქნა ნარდობის ხელშეკრებულება, რომლის მიხედვითაც პანდუსების დამონტაჟება უნდა დასრულებულიყო 10 აპრილისთვის. მომხსენებელმა განმარტა, რომ მათ მიერ 13 აპრილს მივლინებულმა თანამშრომლებმა ვერ დაადასტურეს დაწესებულებაში დამონტაჟებული პანდუსების არსებობა. შპს - საზოგადოებრივმა კოლეჯმა - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიამ წარმოადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ორივე შენობაში არსებობდა დამონტაჟებული პანდუსები. წერილს თან ერთვოდა შესაბამისი ფოტომასალა. ავტორიზაციის საბჭოს წევრები თავად გაეცნენ წარმოდგენილ ფოტომასალას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდუსების დამონტაჟება მოხდა 14 აპრილს. დამატებითი გადამოწმების შედეგად, ავტორიზაციის საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ცენტრის რომელმა თანამშრომელმა გადაამოწმა. რევაზ ხოფერიამ საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამები გადაამოწმა თავად და ეკატერინე ჩინჩალაძემ. კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს შეახსენა 2011 წლის 11 აპრილს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრება, რომ ცენტრის მიერ დაწესებულების განმეორებითი გადამოწმება შეიძლება მომხდარიყო დაწესებულებაში ვიზიტით ან მის გარეშე, დოკუმენტების გადამოწმებით. გადამოწმების მეთოდოლოგიას, ხერხს, დროს შეარჩევდა ცენტრი. შესაბამისად, თავმჯდომარემ დამსწრე პირებს განუმარტა, რომ ცენტრის მხრიდან

პროგრამების გადასამოწმებლად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში, ვიზიტის განხორციელება აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ დაწესებულებამ 2011 წლის 14 აპრილს ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომელსაც თან ერთვოდა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის რექტორის 13 აპრილის №12 ბრძანება. ბრძანების მიხედვით, დაწესებულებამ გააუქმა ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დაკავშირებითაც ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაადგინეს ხარვეზები. ეს პროგრამებია:

- კინოტელეოპერატორი;
- საესტრადო მუსიკის შემსრულებელი;
- დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი;
- სასტუმრო საქმისმწარმოებელი (მე-5 საფეხური);
- მონტაჟის რეჟისორი;
- კრიმინალისტი;
- ეროვნული სამოსის სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების ან არმინიჭების შემთხვევაში, საბჭო სახელობით, კონკრეტულად ასახელებს იმ პროგრამებს, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც ენიჭება ან არ ენიჭება შესაბამის დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ ნამდვილად გააუქმეს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების ან არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, საბჭოს დაწესებულების მიერ გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ აღარ უნდა ემსჯელა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა, რომ საბჭოსთვის გაეცნო ცენტრის პოზიცია იმ პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას არ ჰქონდა გაუქმებული. საბჭოს თავმჯდომარე დაწესებულების წარმომადგენლებს შეეკითხა, ამჟამად რამდენი პროფესიული პროგრამა ჰქონდათ წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს

მოახსენეს, რომ წარმოდგენილი ჰქონდათ თხუთმეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ იგი საბჭოს წევრებს გააცნობდა ცენტრის პოზიციას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არ იყო გაუქმებული.

პირველი შენიშვნა ეხებოდა გუნდის ლობარის/რეგენტის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მოცემული პროგრამის საგანი - მუსიკის თეორია და სოლფეჯიო სასწავლო გეგმის მიხედვით არის 15-კრედიტიანი, მაშინ როდესაც სილაბუსების მიხედვით - 10-კრედიტიანი. საგანი ფორტეპიანო სასწავლო გეგმის მიხედვით არის 19-კრედიტიანი, სილაბუსის მიხედვით კი - 10 კრედიტიანი. უცხო ენა სასწავლო გეგმის მიხედვით არის 4-კრედიტიანი, სილაბუსის მიხედვით - 10-კრედიტიანი. ასევე მეტყველების კულტურა სასწავლო გეგმის მიხედვით არის 8-კრედიტიანი, სილაბუსის მიხედვით კი - 5-კრედიტიანი. მსოფლიო ხალხთა კულტურისა და ხელოვნების ისტორია სასწავლო გეგმის მიხედვით არის 10-კრედიტიანი, სილაბუსის მიხედვით კი 8-კრედიტიანია და სახელწოდებაა მსოფლიო ხელოვნების ზოგადი ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2011 წლის 5 მაისითვის მოცემული ხარვეზები იყო გამოსწორებული. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის ჩაატარა პროგრამების შემოწმება ცენტრის თანამშრომელმა. რევაზ ხოფერიამ უპასუხა, რომ დაწესებულების პროფესიული პროგრამები გადამოწმებულ იქნა 13 აპრილს. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭომ 10 აპრილს ცენტრს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გამოკვლევა. ანუ 10 მაისისთვის დაწესებულების მიერ პროგრამებში ცვლილებების შეტანა ვერ იქნებოდა საბჭოზე მსჯელობის საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზები არსებობდა. ასევე მათი განმარტებით, ექსპერტთა შენიშვნები ძირითადად ეხებოდა დაწესებულების მიერ შედგენილ სილაბუსებს. დაწესებულებაში ვიზიტად მყოფმა ექსპერტმა ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს მათ შეამოწმეს 27 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ძირითადი შენიშვნები სილაბუსებთან დაკავშირებით იყო ის, რომ რამდენიმე სასწავლო კურსი ისწავლებოდა მე-4 და მე-5 საფეხურის საგან მანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული სილაბუსები თითოეულ საფეხურზე შინაარსობრივად იყო სრულიად იდენტური. ექსპერტმა

ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ სილაბუსების გადამოწმება მოხდა შერჩევითი გზით, რადგან მცირე დროში ფიზიკურად შეუძლებელი იყო 27 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის გადამოწმება. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტის მიერ შემოწმების მეთოდოლოგიასა და ხერხს არჩევს თავად ექსპერტი. შესაბამისად, პროგრამები და სილაბუსები შემოწმდა შერჩევითი გზით და ვერ იქნა გამოვლენილი ის დარღვევები, რომლებიც ცენტრმა განმეორებითი გადამოწმების დროს დააფიქსირა.

რევაზ ხოფერიას განმარტებით, მსგავსი ხარვეზები ეხებოდა ქორეოგრაფ რეპეტიტორის მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მცირე ბიზნესის მწარმოებლის მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა, რომ საბჭო იმსჯელებდა წარმოდგენილი 15 პროფესიული პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. ამ 15 პროგრამიდან 4 პროგრამის სილაბუსში, როგორც რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, ცენტრის მიერ დაფიქსირებული იყო ხარვეზები. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სილაბუსს წერს პროგრამის განმახორციელებელი ერთ-ერთი პედაგოგი, შესაბამისად სილაბუსი არის პროგრამის ნაწილი. ანუ პედაგოგის მიერ სილაბუსში დაფიქსირებული კრედიტების ოდენობა და იგივე პროგრამის კურიკულუმში დაფიქსირებული კრედიტების ოდენობა უნდა იყოს იდენტური. მომხსენებლის განმარტებით, ანალოგიური ხარვეზები ფიქსირდებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ქორეოგრაფ რეპეტიტორის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში სამეჯლისო ცეკვის საგანი სასწავლო გეგმის მიხედვით იყო 3-კრედიტიანი, სილაბუსის მიხედვით - 6-კრედიტიანი. ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშების საგანი გეგმის მიხედვით იყო 2-სემესტრიანი, სილაბუსის მიხედვით კი - 1-სემესტრიანი. ასევე უცხო ენა სასწავლო გეგმის მიხედვით იყო 6-კრედიტიანი და 2-სემესტრიანი (3+3), სილაბუსის მიხედვით კი აღნიშნული საგანი იყო ერთ სემესტრიანი და 2-კრედიტიანი.

მცირე ბიზნესის მწარმოებლის მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ფინანსების თეორია სილაბუსის მიხედვით 5-კრედიტიანია, თუმცა პროგრამაში მითითებულია 4 კრედიტი. მცირე ბიზნესის მოწყობის საგანი სასწავლო გეგმის მიხედვით 3

კრედიტიანია, თუმცა სილაბუსის მიხედვით კი 2-კრედიტიანია. მარკეტინგის საფუძვლები სასწავლო გეგმის მიხედვით 4-კრედიტიანია, ხოლო სილაბუსის მიხედვით - 7-კრედიტიანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რამდენიმე სილაბუსში მართლაც კრედიტების რაოდენობა არ იყო პროგრამაში მოცემული კრედიტების ოდენობის იდენტური. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 5 მაისისთვის ყველა ხარვეზი, რომელიც ეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაუმეორა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენლებს, რომ ავტორიზაციის საბჭომ 2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე ვერ დაადგინა დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა, რადგან ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული ინფორმაცია და ავტორიზაციის სხდომაზე მოსმენილი ზეპირი ახსნა-განმარტებები იყო ურთიერთგამომრიცხავი. ამიტომ ავტორიზაციის საბჭომ სთხოვა ცენტრს, რომ განმეორებით გადაემოწმებინა პროფესიული პროგრამები საექსპერტო ვიზიტის მომენტისათვის. მართალია დაწესებულებამ გააუქმა 7 პროფესიული პროგრამა, მაგრამ ცენტრმა მაინც გადაამოწმა აღნიშნული პროგრამები, თუმცა საბჭომ მიზანშეწონლად არ მიიჩნია გაუქმებული პროგრამების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სილაბუსი არის პროგრამის ნაწილი და სილაბუსებსა და შესაბამის პროგრამაში კრედიტების რაოდენობის აცდენა არ არის ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. ამ შემთხვევაში ლექტორმა სილაბუსის შედგენის დროს გათვალა, რომ იგი ლექციაზე დასწრების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, დამოუკიდებელ მეცადინეობისა და გამოცდების მომზადება-ჩაბარების შედეგად სტუდენტს მისცემდა 10 კრედიტის აქტივობას. ანუ ამ შემთხვევაში ლექტორი სტუდენტს თემატიკაზე ამუშავებდა 10 კრედიტის მოცულობით. ხოლო, როდესაც პროგრამაში იგივე საგნისთვის გათვალისწინებულია 15 კრედიტი, ეს ნიშნავს იმას, რომ თვითონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაა წინააღმდეგობრივი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების კურიკულუმში არსებული კრედიტების რაოდენობა შეცდომით იყო მოცემული. ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ, რომელსაც სურს, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები ელემენტალურად ისინი უნდა წარმოადგინოს ყოველგვარი შეცდომებისა და უზუსტობების

გარეშე. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს იოსებ სალუქვაძის მოსაზრება. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაიმეორეს რომ 2011 წლის 5 მაისისთვის ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ხარვეზის გამოვლენის მთავარი ფუნქცია არის ის, რომ ეს ხარვეზი შემდგომში გამოსწორდეს და აღარ იყოს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, თუ დაწესებულებამ საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაფიქსირებული შენიშვნა გამოასწორა საავტორიზაციო ვიზიტის დასრულების შემდგომ, საბჭო აღნიშნულ ფაქტს მხედველობაში არ იღებს. ავტორიციის საბჭო ითვალისწინებს საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

რევაზ ხოფერიამ დაამატა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის მიერ წარმოდგენილ ძველ და ახალ პროგრამებში ხარვეზები იყო იდენტური.

დაწესებულების მიერ ბრძანებით მოხსნილი ზემოაღნიშნული პროგრამების გარდა, დაწესებულების წარმომადგენელმა 4 პროგრამა - მცირე ბიზნესი, მე-4 საფეხური; მცირე ბიზნესი , მე-5 საფეხური; გუნდის ლოტბარი-რეგენტი, მე-5 საფეხური; ქორეოგრაფ-რეპეტიტორი, მე-4 საფეხური საბჭოს სხდომის განხილვიდან მოხსნა და განაცხადა მათი გაუქმების შესახებ.

ექსპერტთა დასკვნისა და ცენტრის შეფასების საფუძველზე საბჭომ იმსჯელა დარჩენილი პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ დეტალურად, ცალ-ცალკე.

- დრამის რეჟისორ - რეპეტიტორი მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა
- პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენელს შენიშვნა არ აქვს.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- ვოკალური მუსიკისა და ქორეოგრაფის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენელს შენიშვნა არ აქვს.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- მონტაჟის რეჟისორის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტის შეფასების მიხედვით, პროგრამა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან, თუმცა თავად სტანდარტი არის შეუსაბამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან. თავმჯდომარის განმარტებით, ასეთ დროს უნდა ეხელმძღვანელათ საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას შორის კოლიზიის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული მინისტრის ბრძანების ნორმებზე დაყრდნობით, დაინტერესებული პირის სასარგებლოდ. ცენტრის წარმომადგენელს აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ აქვს.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- საესტრადო მუსიკის შემსრულებლის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, თუმცა, თავად სტანდარტი არის შეუსაბამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან.

ცენტრის წარმომადგენელს განცხადებით, საესტრადო მუსიკის შემსრულებლის მე-4 საფეხურის პროგრამის მიზანი იდენტურია საესტრადო მუსიკის შემსრულებლის მე-5 საფეხურის მიზნებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საესტრადო მუსიკის შემსრულებლის მე-5 საფეხურის პროგრამა მოხსნილია.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- ეროვნული სამოსის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული პროგრამა.

- ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენლებს შენიშვნები არ აქვთ.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასება, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- ეროვნული სამოსის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენლებს შენიშვნები არ აქვს.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

- კრიმინალისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენლებს შენიშვნები არ აქვთ.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი ამ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

- ტელე-რადიო რეპორტიორის მე-4 საფეხურის პროგრამა

ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენლებს შენიშვნები არ აქვთ.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

- სასტუმრო საქმის მწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა

ექსპერტს შენიშვნები არ აქვს. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზნის ნაწილში აღნიშნულია: სასტუმრო საქმის სპეციალისტის პირდაპირ მოვალეობაში შედის მასზე დაქვემდებარებული პერსონალის ზედამხედველობა, მათთვის სამუშაოს დაგეგმვა, განაწილება და კონტროლი სამუშაოს შესრულებაზე. სასტუმროს საქმის სპეციალისტი ითავსებს ადმინისტრაციულ და კადრების მენეჯერის ფუნქციას. ცენტრის წარმომადგენელს აინტერესებს, მწარმოებლის ფუნქციები რამდენად შეესაბამება სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიულ სტანდარტს. სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიულ სტანდარტის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია – პირს უნდა შეეძლოს სტუმრების მიღება-განთავსება, განთავსების გეგმის შედგენა, უშუალო ხელმძღვანელთან ან მენეჯერთან ერთად. სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-4 საფეხური ს პროფესიულ სტანდარტის მიხედვით კი „პირს უნდა ჰქონდეს მენეჯმენტის ფუნქციონირების პრინციპების ცოდნა, იცოდეს სტუმარ-მასპინძლობის ძირითადი პრინციპები. სამსახურის თანამშრომელთა ხელმძღვანელობა და კონტროლი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭომ ჩათვალა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამის მიზნები რეალურად სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-4 საფეხურის პროფესიულ სტანდარტს შეესაბამება.

სასტუმროს საქმის მწარმოებლის მე-4 საფეხურის პროგრამა მოქმედია. ამდენად მესამე და მეოთხე საფეხურის პროგრამები გამოდის იდენტური.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული

- სასტუმრო საქმის მწარმოებლის მე-4 საფეხურის პროფესიული პროგრამა.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ პროგრამაზე თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობა 40 და 60 პროცენტია, მაშინ როდესაც აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტანდარტი პრაქტიკის კომპონენტში 50 პროცენტს ითვალისწინებს.

ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით, სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

III. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 8

IV. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს „ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

კახი ყურაშვილი

თავმჯდომარე

გაიანე სიმონია

მდივანი